

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები

გეოლოგიური სერია

ტომი I (VI)₂

ა. ცაგარელი — საქართველოს ცარცული ინოცერამები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

1942

ТРУДЫ ГЕОЛОГИЧЕСКОГО ИНСТИТУТА
TRAVAUX DE L'INSTITUT GÉOLOGIQUE

Сер. геолог. I (VI)₂ Sér. géolog.

А. Цагарели — Меловые Иноцерамы Грузии

A. Tsagarély — Les Inocérames crétacés de la Géorgie

საქართველოს
მეცნიერებათა
15-18-42.
აკადემია

გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები

გეოლოგიური სერია

ტომი I (VI)₂

ა. ცაგარელი — საქართველოს ცარტული ინოცერამები

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მენიარბათა
აკადემიის პრეზიდიუმის განკარგულებით

რედაქტორი აკად. ა. ჯანელიძე

ა. ცაგარელი

საქართველოს ცარცული ინოცერამები

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ინოცერამებს ცარცული ნალექების სტრატეგრაფიისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე სხვა რომელიმე ჯგუფს. ეს ითქმის განსაკუთრებით ზედა ცარცზე: შუა ევროპაში ინოცერამების საშუალებით ზედაცარცული სტრატეგრაფიის გაცილებით მეტ დეტალიზაციას მიაღწიეს, ვიდრე ამონიტების საშუალებით, რაც კარგად ჩანს Heinz-ის ცნობილი შრომიდან (35), რომელიც ამ დარგში უახლესია.

სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ინოცერამებს საქართველოს ზედა ცარცის სტრატეგრაფიისათვის, რადგან აქ ამონიტები ძლიერ იშვიათად გვხვდებიან. საქართველოს (და საერთოდ კავკასიის) ზედა ცარცში გაბატონებულ ნამარხებს ზღარბები და ინოცერამები წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა სულ ბოლო დრომდე არც ერთ ამ ჯგუფს არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება; უამისოდ კი ჩვენი ზედა ცარცის შესწავლა წარმოუდგენელია და დღემდის ამ ერთფეროვანი კირქვების სტრატეგრაფიის დეტალიზაციაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ბოლო დროს ამ ნაკლის შესავსებად რამდენიმე ნაბიჯი უკვე გადადგმულია: რუხაძემ საქართველოს ზედა ცარცული ზღარბების შესახებ გამოაქვეყნა მონოგრაფია (65), რომელშიც მას შესწავლილი აქვს აგრეთვე მათი სტრატეგრაფიული გავრცელება ხარაგოულის მიდამოების კრილში. პარალელურად გეოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელმა ნ. იოსელიანმა დაიწყო რუდისტების შესწავლა, მაგრამ სამწუხაროდ მისი შრომა ჯერ გამოქვეყნებული არ არის.

გეოლოგიურ ინსტიტუტში დღიდან მისი დაარსებისა ინოცერამების საკმაოდ მდიდარი მასალა დაგროვდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან: იმერეთიდან (პ. გამყრელიძე, ი. კახაძე, მ. ერისთავი), რაჭიდან (აკად. ალ. ჯანელიძე), სამეგრელოდან (ი. რუხაძე, ი. კაჭარაია) აფხაზეთიდან (გ. ჩხატუა, ი. კაჭარავა), სურამის მიდამოებიდან (პ. გამყრელიძე) და თრიალეთის ქედიდან (პ. გამყრელიძე, ი. კაჭარავა). ამ მასალის დამუშავება პირველად აკად. ჯანელიძემ დაიწყო, მაგრამ დროის უქონლობის გამო ვერ დაამთავრა და გადმოცა მე. მასალასთან ერთად მე გადმომეცა დასამუშავებლად აგრეთვე გეოლოგიური საქართველოს თანამშრომლების: ინჟ. გეოლ. ვ. ედილაშვილის (ბორჩალო) და ვ. კუროჩინის (აფხაზეთი) მასალებიც.

ამგვარად ჩემ ხელთ თავი მოიყარა საკმაოდ მდიდარმა კოლექციამ, რომლის დამუშავება მოხდა უმთავრესად საქართველოს გეოლოგიურ ინსტიტუტში და ნაწილობრივ საკავშირო აკადემიის ლომონოსოვის სახელობის გეოლოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტში და მოსკოვის ორჯონიკიძის სახელობის გეოლოგიურ-საძიებო ინსტიტუტში.

პალეონტოლოგიური მასალის დამუშავების გარდა ჩემს მიზანს შეადგენდა ინოცერამების სტრატეგრაფიული გავრცელების შესწავლა; ამიტომ აღწერით ნაწილში ჩემი ნიმუშების ასაკს დიდ ყურადღებას ვაქცევ და, რამდენადაც შესაძლებელია, სათანადო წყაროების მეშვეობით ზუსტად ვამოწმებ. გარდა ამისა 1939 წლის აგვისტოში მე უშუალოდ შევისწავლე ინოცერამების სტრატეგრაფიული გავრცელება ჩხერიმელის ხეობის ცარცულ ნალექებში. ჩხერიმელის ხეობაზე ჩემი არჩევანი ორი მიზეზის გამო შევაჩერე: ინოცერამების განსაკუთრებით მდიდარი კოლექცია აქ არის შეგროვილი და აქვეა აგებული რუხადის ზემოთხსენებული ქრილი, რაც შესაძლებლობას მძლევდა სხვადასხვა გზით მიღებული შედეგები ერთი-მეორისთვის შემედარებია.

ჩემი ნიმუშების ასაკის დადგენა საკმაოდ ძნელი იყო, რადგან ზედაცარცული კირქვების სტრატეგრაფიის უკვე გამომუშავებული სქემა თავიდანვე მე არ მომეპოვებოდა. პირიქით, ინოცერამების შესწავლას უნდა შეეწყო ხელი ასეთი სქემის გამომუშავებისთვის, რაც განსაკუთრებით ართულებდა ჩემს ამოცანას. მაგრამ ზემოთხსენებული ორი ხერხით—სხვა ნამარხების დახმარებით და სტრატეგრაფიული გავრცელების შესწავლით, ვფიქრობ, ეს სიძნელე დაძლეულია და გამორკვეულია, რომ ინოცერამების ვერტიკალური გავრცელების თანამიმდევრობა საქართველოში შეესაბამება მათ თანამიმდევრობას საქართველოს გარეთ (იხ. შესაფერისი ცხრილი).

არ უნდა დავივიწყოთ კი, რომ ჩვენი დასკვნები უმთავრესად ერთ ქრილს ემყარებიან და შეუძლებელი არ არის უფრო მდიდარმა მასალამ აზრი შეგვაცვლევინოს; მაგრამ ეს ნაკლებ მოსალოდნელია.

დასასრულ, ჩემ შოვალეობად ვსთვლი უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ზემოთხსენებულ ამხანაგებს, რომლებმაც თავისი მასალები მომაწოდეს შესასწავლად დავ. ვ. მენენერს და თ. მ. მიკულინას, რომლებმაც მოსკოვში ყოფნის დროს ყოველმხრივ ხელი შემეწყვეს მუშაობაში.

განსაკუთრებით დავალებული ვარ ჩემი მასწავლებლის აკად. აღ. ჯანელიძის მიერ, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც მოხდა ამ შრომის დამუშავება.

პალეონტოლოგიური ნაწილი

გზარი INOCERAMUS Sowerby 1819

ერთკუნთიანთა ოჯახ *Pernidae* Zittel-ის ამ მეტად მნიშვნელოვანი გვარის მოკლე დიაგნოზი შეიძლება შემდეგნაირად გამოითქვას: ნიჟარა უკლიტოა და ნამარხ მდგომარეობაში ორი შრისგან შედგება: სქელი პრიზმულისა და უფრო თხელი სადაფური შრისგან. საგდულები თანაბარი არიან ან უთანაბრო. უკანასკნელ შემთხვევაში მეტ წილად მარცხენა საგდული უფრო დიდია, ვიდრე მარჯვენა. საბმის სიბრტყე ცვალებადი სიგრძისაა, საგდულების გამყოფი სიბრტყისადმი დახრილი არის და წვრილ, გარდიგარდმო ფოსოებს ატარებს, რითაც ტაქსოდონტურ კლიტეს მიემგავსება. ნიჟარის ზედაპირზე განვითარებულია მძლავრი და მრავალფეროვანი დამახასიათებელი მოკაზმულობა, რომელიც კარგად აქვს აღწერილი Heinz-ს (36). თხემი ზოგ სახეში კიდურია (ე. ი. საბმის სიბრტყის წინა ბოლოშია მოთავსებული), ზოგში არაკიდური (საბმის სიბრტყის წინა ბოლოსთან არის).

ამგვარად გაგებული გვარი შეიცავს საკმაოდ მრავალფეროვან ფორმებს და ამის გამო Brongniart-მა თავიდანვე სცადა მისი ქვეგვარებად დანაწილება (იხ. 15, 50, 66, 75). მაგრამ იმ ხანებში ამგვარი დაყოფა არ გაიზიარეს და ძველი ავტორები ერთი გვარის—*Inoceramus*-ის შესახებ ლაპარაკობენ. შემდეგში, როდესაც სახეების რიცხვი მომრავლდა, სხვადასხვა ავტორებმა ხელახლა სცადეს ქვეგვარების გამოყოფა: *Volviceramus* Stoliczka 1871 (75), *Actinoceramus* Meek 1876 (50), *Sphenoceramus* Böhm 1915 (15), *Endocostea* Whitfield 1880 (იხ. 10), *Haenleinia* Böhm (10). იმავე დროს დაუბრუნდნენ Brongniart-ის ქვეგვარ *Mytiloides*-საც.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ტენდენციის გვერდით საწინააღდეგოც არსებობს: Woods-ი (77, 78) ეწინააღმდეგება ქვეგვარების გამოყოფას იმ მოსაზრებით, რომ მათ შორის თანდათან გადასვლები

ზონები — zones	რიგები — lignées
Bel. mucronata	
Act. quadratus	var. sarumensis balticus lingua cardissoides lobatus tuberculatus
Mars. testudinarius	inconstans subcardissoides digitatus corrugatus
Micr. coranguinum	undulato-plicatus cordiformis involutus
Micr. cor-testudinarium	var. striatus inconstans cordiformis involutus
Holaster planus	var. lata costellatus Lamarckii
Terebrat. lata	labiatus Lamarckii
Rhynch. Cuvieri	labiatus Lamarckii
Hol. subglobosus	
Schlönb. varians	Eheridgei tenuis var. reaciensis Crippsi pictus
Upper Greensand and Gault	concentricus subsulcatus sulcatus anglicus
Lower Greensand	Salomoni neocomiensis

არსებობენო. ამის მაგალითებად ის ასახელებს *In. concentricus* var. *subsulcata* Wilt.-ს (გარდამავალია *Inoceramus*-სა და *Actinoceramus*-ს შორის) და *In. Lamarcki* Park.-ს (გარდამავალია *Inoceramus*-სა და *Volviceramus*-ს შორის).

უნდა ითქვას, რომ ქვეგვარებს შორის გარდამავალი ფორმების არსებობა მოულოდნელად ვერ ჩაითვლება: ასეთი ფორმები ხშირად აკავშირებენ მახლობელ ქვეგვარებს. მეორე მხრით თვით Woods-ის მასალებიც (78) ეწინააღმდეგებიან მის შეხედულებას: მან ინოცერამების ონტოგენეზის შესწავლის საფუძველზე დაადგინა ორი გენეტიური რიგი (იხ. დიაგრამა I), რომელთა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობა უკვე საკმაო საბუთი იქნებოდა მათი ცალკე ქვეგვარებად განხილვისათვის, რადგან ბუნებრივი ჯგუფების გამოყოფისთვის ყველაზე სწორი გზა სწორედ ამგვარი კვლევა არის. მაგრამ დღეს Woods-ის გენეტიური რიგები შესწორებას თხოულობენ, რადგან მათში ზოგი სახის ადგილი საეჭვო არის.

Inoc. anglicus Woods-ის მიხედვით უკავშირდება *Inoceramus neocomiensis*-ს, თავისი საერთო ხასიათით — კი ეს სახე *In. concentricus*-ს უფრო ენათესავება. კიდევ უფრო ნაკლებ ჰგავს *Inoc. anglicus* *In. Crippsi*-ს, რომელიც Woods-ის მიხედვით მისგან უნდა წარმოშობილიყო.

საეჭვოდ გვეჩვენება აგრეთვე *In. anglicus*-ის და *In. pictus*-ის კავშირიც: ეს უკანასკნელი თავისი საერთო ხასიათით *Inoc. concentricus*-თან უფრო ახლოა, ვიდრე *In. anglicus*-თან.

სამაგიეროდ, *Inoc. labiatus*-ი Woods-მა სამართლიანად დაუკავშირა *Inoc. Crippsi*-ს; ჩვენს მასალაში კიდევ უფრო მეტია მათ შორის გარდამავალი ფორმები, ვიდრე Woods-ის სქემაში: *In. cuneiformis*, *In. orbicularis* და *In. bohemicus*. უკანასკნელი უკვე ძლიერ უახლოვდება *In. labiatus*-ს (ქვეგვარი *Mytilioides* Brongn.).

იგივე აღარ ითქმის *In. inconstans*-ის ჯგუფის და *In. labiatus*-ის დაკავშირებაზე; დამაკავშირებელი სახე — *In. labiatus* var. *latus* Sow. (Woods-ის მიხედვით = *In. latus* Sow. non Mant) Woods-ს სწორედ არ აქონდა გაგებული: ის მასში აერთებდა ერთის მხრივ *Inoc. inconstans*-ის მონათესავე ფორმებს (*Inoceramus Stillei* Heinz = *In. latus* Sow. s. str.) და მეორეს მხრივ *In. labiatus*-ის მონათესავე ფორმებს (*Inoc. hercynicus* Petr., იხ. 63), რომლებსაც ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ (იხ. ქვემოთ მათი აღწერები). ამიტომ აქ უფრო ბუნებრივია, რომ *Inoc. inconstans*-ის ჯგუფი უშუალოდ *In. Crippsi*-ს დაეუკავშიროთ.

In. cardisoides-ის და *In. digitatus*-ის ჯგუფები, რომლებიც Woods-ს სხვადასხვა შტოებში ჰქონდა მოთავსებული (პარველი *inconstans*-ის შტოში, ხოლო მეორე *Lamarcki*-ს შტოში) დიდხანია უკვე Böhm-მა შეაერთა (15) ქვეგვარ *Sphenoceramus*-ში. ამ ქვეგვარის დაკავშირება უფრო ბუნებრივია *Lamarcki*-ს შტოსთან, რადგან ეს ორი ჯგუფი *In. Lamarcki*-სა და მსგავსთან უმთავრესად მოკაზმულობით განსხვავდებიან (*Sphenoceramus*-ისათვის რადიალური მოკაზმულობა არის დამახასიათებელი). უნდა ითქვას კი, რომ ამ ქვეგვარის შესახებ შეიძლება Heinz-ის აზრი იყოს მართალი და იგი Pinnidae-ებს ეკუთვნოდეს და არა Pernidae-ებს. ვინაიდან იგი ჩემს მასალაში არ არის წარმოდგენილი, ამის შესახებ გარკვეულის რისამე თქმა არ შემიძლია.

დასასრულ უნდა შევხერდეთ *In. involutus*-ზე და მის მსგავსებზე (ქვეგვარი *Volviceramus* Stol.). Woods-ი, როგორც ცნობილია, ამ ჯგუფს აკავშირებს *Inoc. Lamarcki*-სთან და ამ აზრს სხვებიც იზიარებენ (მაგ., 14). მაგრამ ასეთი დაკავშირება ეჭვს იწვევს: *In. Lamarcki*-ს და *In. involutus*-ს სრულიად განსხვავებული სკულპტურა აქვთ; გარდა ამისა, Woods-ის მიერ დასურათებული გარდამავალი ფორმა მხოლოდ მარცხენა საგდულით მიემსგავსება რამოდენადმე *In. involutus*-ს. მარჯვენა საგდულები მათ სავსებით განსხვავებული აქვთ: *Lamarcki*-ს—მაღალი, ვიწრო და მორგვალეული, *involutus*-ს—დაბალი, *inconstans*-ისებურად გარდატეხილი; *involutus*-ის მარჯვენა საგდულის სკულპტურაც (*Anwachswellen* და *Anwachsringe*) *In. inconstans*-ის ტიპისაა. ამიტომ მე უფრო ბუნებრივად მიმაჩნია *In. involutus*-ის ჯგუფი დაეუკავშირო *Inoc. inconstans*-ის ჯგუფს.

თუ აქ ნათქვამის მიხედვით შევასწორებთ Woods-ის რიგებს, მივიღებთ ისევ ორ რიგს (დიაგრამა II), რომლებსაც, ვფიქრობთ, ის უპირატესობა აქვთ, რომ მონათესავე ფორმები ერთმანეთისგან აღარ არიან გაყოფილი (*pictus-tenuis-concentricus*; *inconstans-involutus* და სხ.).

ჩვენ დიაგრამაში შეტანილი გვაქვს ზოგი ისეთი სახეებიც, რომლებიც Woods-ს არა აქვს ნახსენები. მაგალითად, *In. virgatus*-ის ახალგაზრდა ფორმები (ანუ მოზრდილი ფორმების თხემის მეზობელი ნაწილები) ძნელი გასარჩევი არიან *In. tenuis*-ისა და *In. pictus*-ისგან; ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სახე ერთერთი მათგანისგან უნდა წარმოშობილიყო. *In. subquadratus*, რომელიც Heine-ს (32) მიხედვით *In. cycloides*-ის წინაპარი უნდა იყოს, უკავშირდება *inconstans*-ის ჯგუფს (*sensu lato*), რადგან თხემის მეზობელი ნაწილები მას ამ

ჯგუფის ფორმებისას მიუგავს. ამგვარადვე *In. Abichi* უკავშირდება *In. cycloides*-ს.

ჩვენ მიერ ქვეგვარ *Inoceramus* s. str.-სადმი მიკუთვნებული რამდენიმე სენონური ფორმა დიაგრამაში არ შევიტანეთ: ზოგი მათგანი, უნდა ვიფიქროთ, *In. balticus*-ს უკავშირდება (მაგ., *In. alaeformis*, *In. decipiens*, *In. Gamkrelidzei*, *In. Simonovitchi* და სხვა) ისევე როგორც ქვეგვარები *Endocostea* და *Haenleinia*, ხოლო ზოგი—*In. cycloides*-ს (მაგ., *In. nebrascensis*, *In. exoensis*, *In. Vanuxemi*, *In. salisburgensis* და სხვ.).

II დიაგრამაზე წარმოდგენილი ორი რიგის საწყისი ფორმები (*In. Salomoni* და *In. neocomiensis*) საკმაოდ ენათესავენ იან ერთმანეთს (რაც თხემის მეზობელი ნაწილების შედარებიდან ჩანს) და ამიტომ შესაძლებელია, რომ ისინი საერთო წინაპრისაგან იყვნენ წარმოშობილი, ან და *In. neocomiensis*, როგორც ამ ორში უძველესი, *In. Salomoni*-ს წინაპარი იყოს; ამგვარად ეს ორი რიგი ერთმანეთისგან მთლად დამოუკიდებლად ვერ ჩაითვლება.

აღნიშნული ორი ფორმათა რიგი საშუალებას გვაძლევს გავარჩიოთ რამდენიმე ბუნებრივი ჯგუფი, რომლებიც შეიძლება ქვეგვარებად ჩაითვალოს. *In. neocomiensis*-ის რიგში ასეთი ჯგუფი ხუთია.

1) *neocomiensis*—*Crippsi*—*orbicularis*—*balticus*—*cycloides*-ის ჯგუფი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს *Inoceramus* s. str.-დ.

2) *bohemicus-labiatus*-ის ჯგუფი (ქვეგვარი *Mytiloides* Brongn.)

3) *involutus*-ის ჯგუფი (ქვეგვარი *Volviceramus* Stol.)

4) ქვეგვარი *Endocostea* Whitfield.

5) ქვეგვარი *Haenleinia* J. Böhm.

In. Salomoni-ს რიგშიც ხუთი ასეთი ჯგუფი გაირჩევა:


1) *Salomoni*—*tenuis*—*pictus*-ის ჯგუფი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს *Taenioceramus* Heinz, emend.

2) *Sulcatus-subsulcatus*-ის ჯგუფი, ანუ ქვეგვარი *Actinoceramus* Meek.

3) *Lamarcki*—*Kocgleri*-ის ჯგუფი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ *Orthoceramus* Heinz, emend.

4) *In. cordiformis* და *In. Haenleini* რამდენადმე გამოირჩევიან (თანაჩვენებისაგან, და შეიძლება ისინიც ცალკე ქვეგვარს წარმოადგენდნენ (*Cordiceramus* Heinz).

5) *Cardisoides-digitatus*-ის ჯგუფი ანუ ქვეგვარი *Sphenoceramus* J. Böhm.



ყველა აქ ჩამოთვლილი ჯგუფი (თუ ქვეგვარი) ჩემ მასალაში წარმოდგენილია, გარდა Sphenoceramus-ისა, და მათი ინდივიდუალობა მკაფიოდ ჩანს. ზოგი მათგანი სკულპტურით გაიჩვენა (Actinoceramus, Sphenoceramus, Endocostea), უმეტესობა კი საერთო მორფოლოგიით (Inoceramus s. str., Taenioceramus, Orthoceramus, Mytiloides, Volviceramus). ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს საგდულის დერძს (Wachstumsrichtung, იხ. 69) ანუ დერძის კუთხეს (იხ. სურ. 1).

დასასრულ რამდენიმე სიტყვით უნდა შევხერდეთ Heinz-ის ახალ სისტემატიკაზე (42). მან გვარი *Inoceramus* დაჰყო ორ ოჯახად, მრავალ ქვეოჯახად, გვარად და ქვეგვარად, რითაც მას გვარის მნიშვნელობა დაუკარგა. მის შრომებში ისეთი მაგალითებიცაა, როდესაც ორი მეტისმეტად ახლობელი სახე მას სხვადასხვა ქვეოჯახებშიც აქვს მოთავსებული (მაგ., იხ. 43: *Cymatoceraminae*—*Inoc. Koeneni* და *Volviceraminae*—*In. involutus*, და სხვა). იმავე დროს Heinz-ს დღემდე არ დაუსაბუთებია თავისი სისტემატიკა. ამიტომ მის შეხედულებებს ჯერ ჯერობით არავინ იზიარებს. მართლაც, შეუწყნარებელია ამ ბუნებრივი ჯგუფის ასეთი დაქუცმაცება: რამდენადაც მრავალფეროვანი არ უნდა იყვნენ ცალკეული სახეები, მათ სურათო მიხედვით იმდენი რჩებათ (საბმის სიბრტყე, სკულპტურა), რომ მხოლოდ ქვეგვარების გამოყოფა ხერხდება ბუნებრივად.

ჩემ მიერ აღწერილია 60-ზე მეტი სახე. მათი უმეტესობა შუა ეოცენისათვის არის დამახასიათებელი და მათში ისეთი სტრატოგრაფიულად მნიშვნელოვანი სახეებიც არის, როგორცაა *labiatus*, *involutus*, *cordiformis*, *Crippsi*. მაგრამ გარდა შუა ეოცენის ფორმებისა ჩემ მასალაში აღმოჩნდა შორეული აღმოსავლეთის და ამერიკის ფორმებიც: *nebrascensis*, *exoënzis*, sp. aff. *deformis* და სხ., რომლებსაც საქართველომდე მოღწევა, უნდა ვიფიქროთ, ტეთისის საშუალებით შეეძლოთ. გარდა ამისა ჩვენ გვაქვს სამი ტიპურად ევროპული ტეთისის ფორმაც: *alaeformis*, *decipiens* და *salisburgensis*. აღსანიშნავია აგრეთვე ექვსი ახალი სახე: *Simonovitchi*, *georgicus*, *colchicus*, *Gankrelidzei*, *Abichi* Djan. და *E. imerica*.

ჩვენი ფორმების სტრატოგრაფიული დონე, რომელსაც შესაძლებლობის მიხედვით სხვა ნამარხების საშუალებითაც ვამოწმებდით ხოლმე, შეეფერება მათ ასაკს ევროპაში, აზიაში, ამერიკაში და აფრიკაში. მცირე გამოჩაკლისს წარმოადგენს *In. hercynicus* Peir., რომელიც Heinz-ის მიხედვით შუა ტურონულისაა, ხოლო ჩვენში კი *In. labiatus*-თან ერთად გვხვდება, მაგრამ ეს არ ეწინააღმდეგება სხვა ევროპელი ავტორების აზრს.

ფორამა ალჟერა

მეზოზოური INOCERAMUS Sowerby 1819, emend.

ამ ქვეგვარს შემდეგნაირად ვსაზღვრავ:

დამახასიათებელია სიმაღლესთან შედარებით მეტი სიგრძე. ზოგჯერ სიგრძე-სიმაღლე თითქმის თანაბარია. ლერძის კუთხე მეტწილად <= 45°, მაგრამ ზოგჯერ > 45°. თხემი კიდურია ან არაკიდური, საგდულები მეტნაკლებად გამოხერხილი. ლიგამენტის სიგრძე ცოტა ნაკლებია, ვიდრე საგდულის სიგრძე (იხ. სურ. 1 A). გამონაკლისის სახით ვითარდება შედარებით ნაკლებად გამოყოფილი ფრთა (I. inconstans Woods).

ზოგიერთ სახეში სიმაღლე სჭარბობს სიგრძეს და ასეთი ფორმები გარდამავალი არიან სხვა ქვეგვარებისკენ; ასეთებია, მაგალითად, cuneiformis და orbicularis, რომლებიც ჰქმნიან გადასვლას ქვეგვარ Mytiloides Brongn.-საკენ.

სკულპტურა შედგება კონცენტრული ელემენტებისაგან. რადიალური ელემენტები ძლიერ იშვიათად გვხვდებიან და სუსტად არიან განვითარებული.

Inoceramus (?) neocomiensis d'Orbigny

1843 Inoceramus neocomiensis d'Orbigny, Pal. Franç., Terr. cré., t. III, p. 503, pl. 403, fig. 1-3.

1911 " " Woods, Cret. Lam., pt. VII, p. 262, pl. XLV, fig. 1, 2.

ამ სახეს ვაკუთვნებ ორ ნიმუშს აკად. აღ. ჯანელიძის კოლექციებიდან: ერთი ნიკორწმინდიდანაა, ხოლო მეორე შქმერიდან; ორივე აღებულია აბტურ მერგელებში.

ორივე ნიმუში შიგა კალაპოტს წარმოადგენს. ნიკორწმინდის ნიმუშს ორივე საგდული აქვს შერჩენილი, თუმცა ისინი ერთი მეორის მიმართ პირველად მდებარეობაში აღარ არიან და მარჯვენა საგდული უსრულია. შქმერის ნიმუში მხოლოდ მარცხენა საგდულს წარმოადგენს.

საგდულები უთანაბროა და მარცხენას უფრო დიდი თხემი აქვს. თხემი კიდურია, შიგნით და ოდნავ წინისკენ მოკაუჭებული. მარცხენა საგდულზე ის მაღალია, მარჯვენაზე კი ლიგამენტის ხაზს ოდნავ სცილდება. სიმაღლე ცოტა მეტია სიგრძეზე.

	ნიკორწმინდის ნიმუში	შქმერის ნიმუში
სიგრძე	23 mm	20 mm
სიმაღლე	26 mm	22 mm

ლიგამენტის ხაზი საგდულის სიმაღლის ნახევარი იქნება დაახლოებით. წინა კუთხე—100°; წინა კიდე თითქმის სწორია, ქვედა და უკანა კიდეები მორგვალეული არიან. წინა მხარე საგდულების გამყოფი სიბრტყის მართობულია, ბრტყელი და თხემთან ცოტა ამოღრმავებულიც, უკანა მხარე ვიწროა.

სკულპტურა შედგება წვრილი, წესიერი და მკაფიო ზრდითი ქილიბებისგან, (Anwachskämme), რომლებიც მარცხენა საგდულზე ცოტა უფრო მძლავრი არიან.

Woods-ი აღნიშნავს, რომ მისი ნიმუშები საკმაოდ არ არიან გამოსარკვევად, მართლა ისეთი დიდი განსხვავებაა საგდულებს შორის, როგორც d'Orbigny-ის სურათზეა მოცემული, თუ არა. ამის შესაძლებლობას არც ჩემი მასალა იძლევა.

მსგავსება-განსხვავებასი. I. Ewaldi Schüt. განსხვავდება ჩვენი ფორმისგან ნაკლები სიმაღლით, ნაკლებ მოღუნული კონცენტრული ნოქებით და რადიალური ხაზებით. In. anglicus Woods განსხვავდება მეტი სიმაღლით, თანაბარი საგდულებით, გამომგრალი წინა მხრით (წინააღმდეგ ჩვენი სახის ბრტყელი წინა მხრისა) და უფრო მოხრილი ზრდითი ქედობებით.

ეს უძველესი ცარცული ინოცერამი აერთიანებს ორი ქვეგვარის Inoceramus s. str. და Taenioceramus-ის ნიშნებს. ამიტომ მისი სისტემატიკური მდებარეობა გაურკვეველია.

გავრცელება. ევროპაში გვხვდება ნეოკომურში და აბტურში (Lower greensand). ჩვენში ნახულია აბტურში დამახასიათებელ ამონიტებთან ერთად.

Inoceramus Crippsi Mantell

1836 Inoceramus latus Goldfuss, Petr. Germ., S. 117, Taf. CXII, Fig. 5.

" " orbicularis " " S. 111, Taf. CXIII, Fig. 2.

1843 " latus d'Orbigny, Pal. Franç., t. III, p. 513, pl. 408.

1909 " Crippsi Jn. Böhm, Subhercyn. Kreidemulde, S. 41, Taf. IX, X und XI, Fig. 1.

1911 " " Woods, Cret. Lam., pt. VII, p. 273, textfig. 33-35, pl. XLVIII, Fig. 2, 3.

1928 " " Heinz, Inoc. Süd-Americas, S. 57, Taf. IV, Fig. 1.

ამ სახეს ვაკუთვნებ სულ ცამეტ ნიმუშს აფხაზეთიდან (აღმ. უკმისტა, გლაუკონიტინი ქვიშაქვები), სამეგრელოდან (ცაიში, ქვიშაიანი მერგელები; ყვანჯარა, მერგელები), მოლითიდან (ზოლიანი ქვიშაქვები) და ხრამიდან (სენომანური კირქვები). არის აგრეთვე ერთი ნიმუში ლალიძიდან (თიხიანი მერგელები).

ყველა ნიმუში შიგა კალაპოტს წარმოადგენს და მხოლოდ აფხაზეთის ნიმუშებს შერჩენიათ პრიზმული შრე.

	A	B	C	D	E
სიმაღლე	31 mm	32 mm	40 mm	32 mm	40 mm
სიგრძე	30 mm	35 mm	40 mm	30 mm	38 mm

დაცალბეულ საგდულებს შორის განსხვავება არაფერია. სიგრძე-სიმაღლე თითქმის თანაბარია: ხან ერთი სჭარბობს ოდნავ, ხან მეორე. თხემი პატარაა, მოუკაუჭებელი, არაკიდური. წინა და უკანა კუთხეები ბლაგვია, კიდეები მორგვალბეული.

სკულპტურა შედგება ზრდითი ტალღობებისგან და ზრდითი ზოლაკებისგან (Anwachsrunzeln und Anwachsstreifen).

მსგავსება-განსხვავებანი. ძლიერი ზრდითი ტალღობები აღვილად განასხვავებენ ამ სახეს სხვა სენომანური სახეებისგან. როდესაც მას სუსტი სკულპტურა აქვს, შეიძლება აგვერიოს *In. Etheridgei* Woods-ში, მაგრამ ჩვენ სახეს უფრო მეტად მოხრილი ნაოჭები აქვს.

შედარებით მალალი ეჭვმშლიარები ემსგავსებიან *In. cuneiformis* d'Orb-ს, მაგრამ განსხვავდებიან მისგან არაკიდური თხემით.

გავრცელება. დასავლეთ ევროპაშიც და ამერიკაშიც ტიპური სენომანური სახეა. ჩვენშიც აღმ. გუმისტაზე იგი სენომანურ ამონიტებთან (*Turr. cenomaniensis* Schl., *Ac. Mantelli* Sow., *Ac. Cunninghami* Sharp.) ერთად გვხვდება გლაუკონიტთან ქვიშაქვებში.

ყვანჯარის ნიმუში აღებულია მერგელებში, რომლებიც მორიგეობენ გლაუკონიტთან ქვიშაქვებთან.

კოლექცია: გამყრელიძის, კაჭარავასი, ჩხოტუასი და ედილაშვილის.

Inoceramus orbicularis (Munster) Noetling

1884—85 *Inoceramus orbicularis* Noetling, Die Fauna der baltischen cenomangeschiebe, S. 218, Taf. III, Fig 13—14

1899 " " Семенов, Фауна меловых обр. Мангышлака, стр. 53, таб. I, рис. 13.

ამ სახეს ვაკუთვნებ ერთ პატარა ნიმუშს აფხაზეთიდან (აღმ. გუმისტა, სენომანური გლაუკონიტთან ქვიშაქვები). იგი წარმოადგენს მარცხენა საგდულის შიგა კალაპოტს, რომელსაც ქვედა ნაწილი აკლია. ამიტომ მის ზომებს არ ვიძლევი.

თხემი კიდურია, წინისკენ წახრილი, წვეტიანი. ლიგამენტის ხაზი თითქმის საგდულის სიგრძის ტოლია. საგდული თითქმის

ბრტყელია. სკულპტურის ფორმა შესაძლებლობას გვაძლევს დავასკენათ, რომ საგდულის სიგრძე-სიმაღლე თანაბარი უნდა ყოფილიყო. წინა კუთხე—90°; უკანა კუთხე ბლაგვია.

სკულპტურა შედგება წვრილი, მკვეთრი ზრდითი ტალღობებისგან (Anwachsrunzeln), რომელთა სიმრუდის ღერძი წინა კიდის ახლოს გადის. საგდულის შუა ნაწილზე სუსტი რადიალური ხაზებიც ემჩნევა (Radialstriemen).

მსგავსება-განსხვავებანი. ჰგავს *In. bohemicus* Leonh., რომელიც განსხვავდება მეტი სიმაღლით (სიგრძესთან შეფარდებით) და ირიბი ნიჟართით. სკულპტურა ორივე სახეს ერთნაირი აქვს, აგრეთვე თხემის მეზობელი ნაწილები და თხემები. ამგვარად ეს სახე გარდამავალია ქვეგვარ *Mytiloides*-კენ, მაგრამ მასში ტიპური ინოცერამის ნიშნები სჭარბობს, სახელდობრ თანაბარი სიგრძე-სიმაღლე და არაირიბი ფორმა საგდულისა.

შენიშვნა: Goldfuss-ის მიერ ამ სახელით გამოქვეყნებული ფორმა Böhm-ის (O) მიხედვით *In. Crippsi*-ს ეკუთვნის და მე იგი ამ უკანასკნელის სინონიმიში მაქვს მოხსენებული.

გავრცელება. ევროპაში ყველა ავტორის მიხედვით სელომანში გვხვდება. ჩვენშიც იგი ისევე როგორც *In. Crippsi* Mant. და *In. Etheridgei* Woods, გლაუკონიტთან ქვიშაქვებში არის ნაპოვნი სენომანურ ამონიტებთან ერთად.

კოლექცია: ჩხოტუასი.

Inoceramus cuneiformis d'Orbigny

1843 *Inoceramus cuneiformis* d'Orbigny, Pal. Franç., t. III, p. 512, pl. 407.

1850 " " d'Orbigny, Prodrôme, v. II, p. 197.

1872—75 " striatus Geinitz, Elbthalgeb., II, Taf. XIII, Fig. 1.

1899 " cf. cuneiformis Семенов, Фауна мел. обр. Мангышлака, стр. 58.

1903 " " Petrascheck, Inoc. a. d. Kreide Böhm. und Sächs., S. 155.

ამ სახეს ვაკუთვნებ ხუთ ნიმუშს: ერთი გუმბრის ფლორიდი-ლიასი წყებიდანაა, ერთი აფხაზეთიდან (ბზიბი, მუქი ნაცრისფერი ქვიშაქვა) ერთი ლორეშიდან (მერგელი), ერთი სამეგრელოდან (ოკარცე, მერგელები) და ერთიც უცნობი საბადოდან. ყველა ნიმუში (დაცალბეული საგდულების შიგა კალაპოტებს წარმოადგენს.

	A	B	C	D
სიგრძე	35 mm	45 mm	70 mm	41 mm
სიმაღლე	46 mm	56 mm	100 mm	57 mm

თხემი პატარაა, კიდეური, არამკაფიო. წინა და უკანა კუთხეები ბლაგვია. ლიგამენტის ხაზი მოკლე, ამიტომ საგდულს სოლი-სებური სახე აქვს. ჩემი ნიმუშები ყველა დეფორმებულია (გაბრტყე-ლებული), მაგრამ ზოგს ემჩნევა, რომ წინა მხარე უფრო გამობერი-ლი უნდა იყოს, ვიდრე უკანა. ქვედა კიდე მორგვალეულია. აქვს გამოუყოფელი უკანა ფრთა.

სკულპტურა შედგება ზრდითი (რგოლობებიანი) წიბოებისა-გან (Anwachststreifen).

D'Orbigny-ის მიერ მოცემულ სურათზე მარცხენა საგდული ცოტა უფრო დიდია მარჯვენაზე. ჩემ განკარგულებაში მყოფი და-ცალეებული საგდულების მიხედვით ამისი შემჩნევა არ ხერხდება. სხვა მხრივ ჩემი ნიმუშები საესებით მსგავსი არიან აღნიშნული სურათის.

მსგავსება-განსხვავებანი. ეს სახე ძლიერ ჰგავს *In. (M). labiatus* Schloth-ს, მაგრამ განსხვავდება მისგან არამიტილოი-დური ფორმით; მისი საგდულის ღერძი თითქმის მართობულია ლი-გამენტის ხაზის.

I. Crippsi Mant-ისგან განსხვავდება ბევრად მეტი სიმაღლით და კიდეური თხემით.

გავრცელება. D'Orbigny-ს მიხედვით ეს სახე ტურონუ-ლია. Petrascheck-ის მიხედვით ბოჰემიასა და საქსონიაში გვხვდება Scaphitenpläner-ში. სემიონოვი აღნიშნავს სენომანურიდანაც.

ჩვენი ნიმუშები სხვადასხვა სტრატეგრაფიული დონიდან არიან. გუმბრში ეს სახე *In. labiatus* Schloth-თან ერთად გვხვდება. სამე-გრელოშიც (ოცარცე) იგი გლაუკონიტანი ქვიშაქვების თავზეა ზე-და ცარცის მერგელებში ისევ *In. labiatus*-თან ერთად (თვით გლაუ-კონიტანი ქვიშაქვებში არის სენომანური *In. bohemicus* Leonh. *In. pictus* Sow, ხოლო მათთან დაკავშირებულ თიხიან მერგელებში *In. Crippsi* Mant.), მაგრამ ბზიბის ნიმუში, რომელიც აღებულია მუქ ნაცრისფერ ტუფოგენ ქვიშაქვებში, ქვეშ უდევს ზედა ცარცის კიო-ქვებს და შეიძლება სენომანური იყოს. მასთან ერთად სხვა არაფე-რი ნახულა.

კოლექცია: ერისთავის, კუროჩინის, გამყრელიძის და კაჭარავასი.

Inoceramus cf. costellatus Woods

1912 *Inoceramus costellatus* Woods. Cret. Lam. v. II, p. VIII, p. 336. pl. LIV, fig. 5-7.
1934 " " Andert, Kreideablagerungen..., S. 134, Taf. 16, Fig. 3.

ერთი პატარა ზომის მარცხენა საგდულის შიგა კალაპოტი ყველაზე უფრო უახლოვდება ამ სახეს. მას საკმაოდ გამობერილი, ოვალური ფორმა აქვს, რამოდენადმე ღერძის გასწვრივ წაგრძელებული. ღერძის კუთხე = 45°-50°. თხემი კიდეურია, მაღალი, ცოტა შიგნითკენ მოკაუჭებული.

სკულპტურა დაცული არ არის.

გავრცელება. Woods-ის ნიმუშები ზედა (და შუა) ტურონულია. რენგარტენი აღნიშნავს მას ტურონულიდან, ხოლო Andert-ი ემშერიდან.

ჩვენი ნიმუში აღებულია ქუთაისის მიდამოებში საბანელა დე-ლის ე. წ. „ორბულინებიანი“ კირქვების ზედა შრეებში, სადაც მისი მდებარეობა ტურონულს ეთანხმება (23).

კოლექცია: აკად. ალ. ჯანელიძის.

In. inconstans Woods-ის ჯგუფი

Inoceramus inconstans Woods, em. Andert

1872 *Inoceramus Cuvieri* Geinitz, Elbthalgeb., Th. II, Taf. 13, Fig. 6, 7.
1897 " " Каракант, мѣл. отл., стр. 56, таб. VII, рис. 12.
1911 " *latus* Andert, Die Inoc. des Kreibitz Zittauer..., S. 43, Taf. IV, Fig. 4.
" *Cuvieri* var. *planus* Andert, Ibid., S. 45, Taf. I, Fig. 5.
" *crassus* Andert, Ib., S. 46, Taf. III, Fig. 4, Taf. VI, Fig. 1, 2.
1912 " *inconstans* Woods, Cret. Lam., pt. VIII, p. 283 textfig. 42, 43, 45, 46 (?), pl. LI, Fig. 1, 2.
1913 " " Andert, I. *inconstans* und verwandte Arten. S. 282.
" *crassus* Andert, ib., S. 297.
1926 " *inconstans* Реннгарген, Асса-Камбилеевка, стр. 49.
1928 " " Heinz, Inoceramen-Profil., Taf. III.
1934 " " Andert, Kreideablagerungen..., S. 102, Taf. II, Fig. 2-7, Taf. III, Fig. 1, 6, 7. Abb. 6, 7.
" *crassus* Andert, ib., S. 109. Taf. III, Fig. 3, Abb. 9.

ამ სახეს ვაკუთვნივთ თორმეტ ნიმუშს ჩხერიმელის ხეობიდან, კუმისტის ხეობიდან (აფხაზეთი), ენგურიდან, ქუთაისის მიდამოე-ბიდან და სხვა. ორი ნიმუში (კუმისტის და ენგურის) საკმაოდ სრულია.

ნიმუშებს საკმაოდ ტიპური ფორმა აქვთ და მათი სკულპტურა ახალგაზრდობაში შედგება წესიერი, მეტწილად მძლავრი ზრდითი ტალღებისა და ზრდითი რგოლობებისგან, რომლებიც პატარა უკანა ფრთხე სუსტდებიან (Anwachswellen და Anwachsringe). ნიქარის გარდატეხის შემდეგ მხოლოდ ზრდითი ხაზები და არაცხადი რგოლობები რჩებიან.

შენიშვნა: Andert-ის მიხედვით *I. inconstans* Woods ზოგჯერ დიდ ზომას აღწევს.

გავრცელება. Woods-მა ამ სახისათვის ფართე გავრცელების საზღვრები მოგვცა: *Ter. lata*-ს ზონიდან *Bel. mucronata*-ს ზონამდე. Andert-მა, როდესაც Woods-ის ილუსტრაციებიდან ტიპური ფორმები გამოიყო, აღნიშნა, რომ ისინი მხოლოდ ზედა ტურონში გვხვდებიან, ხოლო, დანარჩენები *Act. quadratus*-ის და *Bel. mucronata*-ს ზონას ეკუთვნიან. მას შემდეგ რენგარტენმაც და Heinz-მაც (1928) ამ სახის გავრცელება ზედა ტურონით შეზღუდეს.

ჩემ ხელთ მყოფი ტიპური ნიმუშებიდან ერთი (გუმისტის) აღებულია ვარდისფერი კირქვების ბევრად ზევით ნაცრისფერ კირქვებში (ვარდისფერი კირქვების ზედა ნაწილში გვხვდება ემშერული *In. involutus* Sow), ხოლო მეორე — ქუთაისის მიდამოების ტურონულ გლაუკონიტის ზედა კირქვებში, *Inoceramus Lamarcki* Park.-თან ერთად. ამგვარად თითქოს *In. inconstans*-ისთვის მოცემული გავრცელების საზღვრები ირღვევა.

ჩემი ნიმუშები არიან ჩხერიმელიდან (ვარდისფერი კირქვების ქვედა ნაწილი ხარაგოულთან), ქუთაისის მიდამოებიდან (გლაუკონიტის ზედა კირქვა), აფხაზეთიდან (გუმისტა, სენონის კირქვა), ენგურის ხეობიდან (მდებარეობა უცნობია), ლანჩხუთის მიდამოებიდან (მდებარეობა უცნობია).

ქუთაისის და ჩხერიმელის ნიმუშები ტურონულია, რადგან პირველ ადგილას *In. labiatus*-ის ზევითაა ახლოს, ხოლო მეორე ადგილას *In. involutus*-ის ქვევით. ამგვარად ჩვენში *In. inconstans* Woods-ს ფართე სტრატეგრაფიული გავრცელება აქვს.

კოლექცია: გამყრელიძის, ჩხოტუასი, რუხაძის, ერისთავის.

Inoceramus inconstans Woods var. *Elberti* n. nov.

1906 *Inoceramus planus* Elbert, Das untere Angoumien... S. 112.

1911 „ *Cuvieri* var. *planus* Andert, Die Inoc. des Kreibitz-Zittauer... S. 45, Taf. I, Fig. 2 (non 5), Taf. VII, Fig. 8.

1912	„	<i>inconstans</i> Woods, Cret. Lam., p. VIII, textfig. 44.
1913	„	var. <i>planus</i> . Andert, I. <i>inconstans</i> und... S. 284.
1934	„	Andert, Kreideablagerungen... S. 103.
იან 1936	„	<i>planus</i> Goldfuss, Petr. Germ., S. 110, Taf. 113, Fig. 16.

ეს სახესხვაობა ჩემს კოლექციაში წარმოდგენილია ერთი ნიმუშით, რომელიც მარცხენა საგდულს წარმოადგენს და აღებულია სათანჯოს ციხესთან, კირქვებში.

ნიმუში მთლიანად პრიზმული შრით არის დაფარული და თხემისა და ლივამენტის ნაწილი აკლია. მიუხედავად ამისა, ამ ფორმის დამახასიათებელი ნიშნები ცხადად არის დაკული. კარგად ჩანს ნიქარის გარდატეხა მოზრდილობისას. ახალგაზრდობის ნაწილი თითქმის ბრტყელია და დაფარულია მსხვილი და წვრილი ზრდითი რგოლობებით, (Anwachsringe), რომლებიც გარდატეხის მეზობლად სუსტდებიან. ამასთან ერთად სკულპტურაში უკვე უბრალო ზრდითი ხაზებიც ჩნდება და მსხვილი ზრდითი რგოლობები ზრდითს ტალღებს მიემსგავსებიან. გარდატეხის შემდეგი მოხუცებული ნაწილის სკულპტურა შედგება ზრდითი ხაზებისაგან და ერთი-ორი უწყესო და შეუმჩნეველი ზრდითი ტალღისგან (Anwachswellen).

ფრთის არსებობის ნიშნები არ ემჩნევა. ღერძის კუთხე—45°.

სიგრძე — 100 mm

სიმაღლე — 74 mm დაახლ.

სისქე — 33 mm

მსგავსება-განსხვავებანი. *I. inconstans* Woods-სგან განსხვავდება სკულპტურით და ფრთის არ არსებობით.

შენიშვნები: ამ სახეს *Elberti*-ი უწოდებდა *I. planus* Goldf. (Münst.) და მის შემდეგ საერთოდ ამ სახელით იყო ცნობილი, მაგრამ Andert-მა 1911 წელს აღნიშნა, რომ Goldfuss-ის მიერ დასურათებული დიდი ფორმა არა ჰგავს *Elberti*-ის ფორმას, ხოლო 1934 წელს ის გარკვევით უარყოფს მათ იდენტობას.

ვინაიდან ჩემ ხელთ არის ერთი ნიმუში, რომელიც საკმაოდ ეთანხმება Goldfuss-ის ფორმას, მე *Elberti*-ის ფორმას სახელი შევუცვალე.

გავრცელება. *Elberti*-მა ეს ფორმა ასწერა ქვედა Angoumien-დან (რაც Bubnoff-ის (21) მიხედვით *Scaphites Geinitzi*-ს ზონას უდრის). ხოლო Andert-ი ყველა თავის შრომაში მას აღნიშნავს

Schlönbachi-ს ზონიდან. ჩვენი ნიმუში აღებულია ზედაცარცის კირქვებში *In. (Orth.) Lamarcki Park*-ის ცოტა ზევით და *Bel. mucronata*-ს ბევრად ქვევით.

კოლექცია: კაჭარავასი.

Inoceramus Stillei Heinz

ტაბ. V, სურ. 6.

- 1911 *Inoceramus labiatus* var. *latus* Woods, *Cret. Lam.*, p. VII, p. 284, textf. 40.
- 1912 " *inconstans* Woods, *Ibid.*, p. VIII, textfig. 46.
- 1928 " *Stillei* Heinz, *Inoc. Profil.*, S. 72, Taf. II, Fig. 2; Taf. III.

ამ სახეს ვაკუთვნიებ სამ ნიმუშს, რომლებიც აღებული არიან ჩხერიმელის ხეობაში ხარაგოულთან (ღელე საკაქია) ვარდისფერი კირქვების ქვედა ჰორიზონტებიდან. ორი მათგანი საკმაოდ სრულია და ორივე მარჯვენა საგდულს წარმოადგენს.

ნიჟარებს პრიზმული შრე დაცული აქვთ; საგდულები ზომიერად გამოხერხილია. სიმაღლე ცოტა სქარბობს სიგრძეს. წინა და უკანა კუთხეები > 90°.

- სიგრძე — 67 mm (ვარაუდით) 50 mm
- სიმაღლე — 68 mm 52 mm
- სისქე — 17 mm 11 mm

თხემი კიდურია, პატარა, ამოშვერილი, სუსტად მოკაუჭებული და ცოტა უკან გადახრილი. ლივამენტის ხაზი საგდულის სიმაღლის 3/4 იქნება და უკანა მხარეს პატარა გამოუყოფელ ფრთას ჰქმნის. წინა, ქვედა და უკანა კიდეები თითქმის წრულად გადადიან ერთმანეთში. წინა მხარე საგდულების გამყოფი სიბრტყის მართობულია, ხოლო თხემთან ამოღრმავებულიცაა.

სკულპტურა შედგება ზრდითი ჭდეულებისგან (*Anwachsmarken*), ზრდითი ზოლაკებისგან (*Anwachsstreifen*) და აქა-იქ ზრდითი რგოლებისგანაც (*Anwachsringe*). ფრთაზე სკულპტურა არ სუსტდება და წიბოები ცოტა უკან იხრება.

წრული მოხაზულობით და სკულპტურით ჩემი ნიმუშები ძალიან ჰგვანან *Heinz*-ის ნიმუშს. განსხვავება მდგომარეობს ოდნავ უკან გადახრილ თხემში და ძნელი შესამჩნევია; უნდა ითქვას კი, რომ *Heinz*-ი თხემის შესახებ არაფერს ამბობს.

მსგავსება - განსხვავებანი. *In. inconstans* Woods-ისგან განსხვავდება წრული მოხაზულობით, უფრო მოკლე ლივამენტის ხაზით და ზრდაში მკვეთრი გარდატეხის არ არსებობით.

სკულპტურის მიხედვით ეს სახე ენათესავება აგრეთვე *In. Schlönbachi* Böhm-ს, მაგრამ ეს უკანასკნელი განსხვავდება უფრო

დიდი ზომით, მეტი გამოხერხილობით და უფრო წესიერი სკულპტურით.

შენიშვნა: ეს სახე *Heinz*-მა დაადგინა *I. latus* Sow. საფუძველზე, რომელიც *Sowerby*-მ შეცდომით განსახვავებდა როგორც *I. latus* Mant.

გავრცელება. ინგლისში ეს სახე გვხვდება *Hol. planus*-ის ზონაში (= *Schlönbachi*-ს ზონას), გერმანიაში *Scaph. Geinitzi*-ს ზონის ზედა ნაწილში.

ჩვენი ნიმუშებიც ტურონულია, რადგან იმავე ვარდისფერ კირქვების ზედა ნაწილში ნაპოვია ემშერული *In. involutus* Sow.

კოლექცია: გამყრილიძის, ჩემი.

Inoceramus cf. *Schlönbachi* J. Böhm

- 1836 *Inoceramus Cuvieri* Goldfuss, *Petr. Germ.*, S. 114, Taf. 111, Fig. 1.
- 1876 " " Schlüter, *Zur Gattung Inoceramus*, S. 18.
- 1911 " " Andert., *Inoc. d. Kreibitz-Zittauer...*, S. 44, Taf. II, Fig. 2.
- 1911 " *Schlönbachi* J. Böhm, *Über I. Cuvieri* Sow., S. 569.
- 1913 " " Andert., *J. inconstans und verwandte Arten*, S. 295.
- 1928 " " Heinz, *Inoceramen-Profil.*, Taf. III.
- 1928 " " Heinz *Über Skulptur...*, S. 35 Taf. II, Fig. 2.
- 1934 " " Andert., *Die Kreideablagerungen...*, S. 107, Taf. III, Fig. 2. Abb. 8.

ამ სახეს ვაკუთვნიებ ორ ნაკულ ნიმუშს: ერთია ლაჯანურის ხეობიდან (ვარდისფერი კირქვა), ხოლო მეორე აფხაზეთიდან (გუმიხისტა, ვარდისფერი კირქვა). ორივე დიდი ზომისაა.

ორივე ნიმუში პრიზმული შრითაა დაფარული და ორივე გაჭყლეტილია; პრიზმულ შრეს ცხადად ემჩნევა ნაპრალები. ორივე ნიმუშს კიდეები ჩამოტეხილი აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა ლეჩხუმის ნიმუშს სკულპტურის მიხედვითაც ცხადად ემჩნევა, რომ ეს მარცხენა საგდულია

სკულპტურა შედგება ცხადად გამოხატული, წესიერი და დაშორებული ზრდითი ტალღებისგან (*Anwachswellen*), რომელთა შორისაც მოქცეულია სამი-ოთხი ზრდის რგოლი (*Anwachsringe*) ანუ უფრო სუსტი ზრდის ტალღა. ფრთაზე ზრდის ტალღები ახლოვდებიან.

ამ ჯგუფის ფორმებიდან ასეთი სკულპტურა მხოლოდ *In. Schlönbachi* Böhm-ს აქვს. დიდი ზომაც ამ სახეს ეთანხმება. მაგრამ ეინაიდან ნიმუშები სრული არ არის, ზუსტი იდენტიფიკაციისაგან თავს ვიკავებ.

მსგავსება - განსხვავებანი. *In. inconstans*-ის ჯგუფის სხვა ფორმებისგან განსხვავდება წესიერი სკულპტურით.

გავრცელება. ყველა ავტორის მიხედვით ტურონულის სულ ზედა ზონის ნაპარხია.

ასევე უნდა იყოს ჩვენშიც. რადგან აფხაზეთში მის მეზობლად ვარდისფერ კირქვაში ნახულია *In. involutus* Sow.

კოლექცია: აკად. ჯანელიძის, ჩხოტუასი.

Inoceramus sp. aff. *deformis* Meek

შედ. *Inoceramus deformis* Heinz, Über Skulptur..., S. 34, Taf. II, Fig. 1.

ამ სახეს ძლიერ ჰგავს ერთი ნიმუში ჩხერამელის ხეობიდან (ჯიხველის დღეე ხარაგოულთან). იგი წარმოადგენს მარცხენა საგდულის შიგა კალაპოტს და აღებულია სენონურ კირქვებში (ვარდისფერ კირქვებს ზევით).

თხემი კიდურია, გამოუყოფელი და მასივი.

სიგრძე 14 mm

სიმაღლე 12 mm

წინა კუთხე ბლავგია; წინა კიდე წინ გამოწეულია და თანდათან გადადის მოკლე ქვედა კიდეში; უკანა კიდე წინისკენაა მიმართული.

სკულპტურა შედგება დაშორებული და მაღალი კონცენტრული ნაკვებისგან, რომლებიც ზრდითი ტალღებს ჰგვანან; გარდა ამისა მათ შუა ინტერვალებში ემჩნევა აგრეთვე რადიალური წიბაკებიც (*Radialrippeln*).

საერთო მოხაზულობით და კონცენტრული სკულპტურის ტიპით ძლიერ მიემსგავსება *I. deformis* Meek-ს. მაგრამ განსხვავდება მისგან რადიალური ზოლებით და სტრატეგრაფიული მდებარეობით. ეს უკანასკნელი Heinz-ის მიხედვით ეკუთვნის ზედა ტურონულს (*I. Schlönbachi*-ს ზონას). ხოლო ჩემი ნიმუში გარკვეულად სენონურია, რადგან მის ქვეშ ვარდისფერ კირქვაში ნაპოვნია *In. (V.) involutus* Sow.

კოლექცია: გამყრელიძის.

Inoceramus sarumensis Woods

1912 *Inoceramus inconstans* var. *sarumensis* Woods, Cret. Lam., p. VIII, p. 293, pl. 52, fig. 2 (non 3).

1928 " *sarumensis* Heinz, Inoceramen-Profil., Taf. III.

ეს სახე წარმოადგენილია სამი ნიმუშით, რომლებიც აღებული არიან ჩხერამელის ხეობაში, ხარაგოულთან. ყველა შიგა კალაპოტები.

	A	B
სიგრძე	—70 mm	75 mm
სიმაღლე	—50 mm	58 mm

ნიმუშები ცოტა დეფორმებულია, მაგრამ იმდენად არა, რომ მათი აღწერა არ ხერხდებოდეს. საგდულები გამობერილია, მორგვალელებული ფორმის. საგდულის ღერძი საბმის მიმართ ირიბულია და დაახლოვებით 45°—50°-ს კუთხეს ჰქმნის. თხემი არაკიდურია, მსხვილი, არამკაფიო, მოკაუჭებული. ლიგამენტის ხაზი გრძელია და ვიწრო უკანა ფრთას ჰქმნის; ერთ ნიმუშს ემჩნევა აგრეთვე ჩამოტეხილი წინა ფრთაც.

სკულპტურა შედგება სხვადასხვა სიმძლავრის ზრდითი ტალღებისგან (*Anwachsrunzeln*) და ზრდითი ხაზებისგან.

ჩემი ნიმუშები ჩემთვის ცნობილ სახეებიდან ყველაზე მეტად ამ სახეს ეთანხმებიან.

შენიშვნა: მორგვალელებულად გამობერილი ფორმა და ორი ფრთა ადვილად განასხვავებს ამ სახეს სხვებისგან.

გავრცელება. Woods-ის მიხედვით ინგლისში *Act. quadratus*-ის ზონაში გვხვდება. Lüneburg-თან ის *Granulatensenon*-სა და *Quadratensenon*-ში არის. ჩვენი ნიმუშების მდებარეობა ამას ეთანხმება, რადგან ისინი გვხვდებიან სანტონურ კირქვებში *I. balticus*-თან ერთად.

კოლექცია: გამყრელიძის.

In. balticus Böhm-ის ჯგუფი

Inoceramus crassus Petrascheck

ტაბ. I, სურ. 3, 4.

1875 *Inoceramus Cripsi* Geinitz, Elbthalgeb..., II; S. 49, Taf. 13, Fig. 12, 13.

1909 " *crassus* Petrascheck, Inoceramen a. d. Kreide Böhmens und Sächsens, S. 164, Taf. VIII, Fig. 4.

1911 " " Andert, Inoc. des Kreibitz Zittauer..., S. 46, Taf. III, Fig. 4; Taf. VI, Fig. 1, 4.

" 1913 " " Andert, 1. *inconstans* und verwandte Arten, S. 297.

" 1934 " " Andert, Kreideablagerungen..., S. 109, Taf. III, Fig. 3, Abb. 9.

8. საქართველოს ცარცული ინოცერამები.

ამ სახეს ვაკუთვნებ რვა ნიმუშს ჩხერიმელის ხეობიდან (ჯიხველა ხარაგოულთან). უმეტესობა ძლიერ დეფორმებულია, მაგრამ ზოგიერთ ნიმუშს დეფორმაცია ნაკლებად ან სულ არ განუცდია და აღწერას და ზომებს მათ მიხედვით ვიძლევი. ყველა ნიმუში დაცალეული საგდულების შიგა კალაპოტებს წარმოადგენს აქა-იქ შერჩენილი პრიზმული შრის ნაშთებით.

	A	B	C
სიგრძე	— 80 mm	84 mm	73 mm
სიმაღლე	— 53 mm	55 mm	50 mm
სისქე	— 33 mm	34 mm	30 mm

თხემი კიდურია, პატარა, მოკაუჭებული და წინ გადახრილი. ლიგამენტის ხაზის სიგრძე საერთო სიგრძის 2/3 იქნება. წინა კუთხე სწორია, უკანა ბლაგვი. ნიჟარა ძლიერ გამოხედილია, რადგან გარკვეული სტადიიდან ზრდა გარდატეხით ხდება, როგორც *I. inconstans* Woods-ში. წინა მხარე მოკლეა და საგდულების გამყოფი სიბრტყის თითქმის მართობული. ქვედა მხარე გრძელია და უფრო გამოხედილი, ვიდრე წინა. უკანა მხარე მორგვალეულია.

სკულპტურა შედგება კონცენტრული წიბოებისგან (Anwachsreifen), დასაწყისში ისინი შედარებით უწყესო და ახლო-ახლო არიან, შემდეგ თანდათან შორდებიან ერთმანეთს. გარდატეხის შემდეგ წიბოები თითქმის ქრება და მხოლოდ ზრდის ხაზები რჩება. გარდატეხა ყოველთვის მკვეთრი არ არის და ზოგჯერ თანდათანობით ხდება.

მსგავსება - განსხვავებანი. ნიჟარის გარდატეხით ეს სახე უახლოვდება *I. inconstans* Woods-ს, მაგრამ განსხვავდება მისგან სკულპტურით, ფრთის არარსებობით და მეტი სიგრძით.

I. balticus Böhm განსხვავდება ჩვენი სახისაგან არაკიდური თხემით, გამოწეული წინა კიდით და უფრო წესიერი კონცენტრული წიბოებით, რომლებიც გარდატეხის შემდეგ ნაკლებად სუსტდებიან.

Andert-ის *I. crassus* განსხვავდება Petrascheck-ის ტიპისაგან ცხადად გამოხატული პატარა ფრთით; გარდა ამისა, სკულპტურის ტიპითაც (ზრდითი ტალღები—Anwachswellen და ზრდითი რგოლები—Anwachsringe) ის *I. inconstans* Woods-ს უფრო უახლოვდება. Petrascheck-ი გარკვევით ამბობს: Ein Flügel fehlt völlig. ჩემ ნიმუშებსაც ფრთის ნიშნები არ აქვთ და ამიტომ მე ისინი Petrascheck-ის ტიპის იდენტურად მიმაჩნია, ხოლო Andert-ის ფორმას ვაკუთვნებ *In. inconstans* Woods-ს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ *I. inconstans*-ის ჯგუფში, რომლისთვისაც უმთავრესად დამახასიათებელია ზრდითი ტალღები და ზრდითი რგოლები, შედიან *I. inconstans* Woods და მისი var. *Elberti n. n.*, *I. Stillei* Heinz, *I. Schlönbachi* Böhm და სხვ. (ob. Andert 2,3 და 5). *In. crassus*-კი შედის *I. balticus* Böhm-ის ჯგუფში, რომლისთვისაც დამახასიათებელია კონცენტრული წიბოები (Anwachstreifen).

გავრცელება. ორიგინალი აღწერილია ბოჰემიის Chlomeker Schichten-იდან, რომლებიც ემშერად განისაზღვრებიან.

ჩემი ნიმუშების სტრატეგრაფიული მდებარეობა ამას ეთანხმება, რადგან ისინი *I. subquadratus* Schlüt-თან ერთად გვხვდებიან ნაცრისფერ კირქვებში, ვარდისფერ კირქვების თავზე და უფრო ზევით მხოლოდ ერთი-ორი ნიმუშია ნაკონი.

კოლექცია: გამყრელიძის, ჩემი.

Inoceramus balticus J. Böhm

- 1836 *Inoceramus Crippsi* Goldfuss, Petr. Germ., S. 110, Taf. 112, Fig. 4b.
 1846 " " Reuss, Die Verst. d. Böhm. Kreide, S. 25 Taf. 37, Fig. 12.
 1871 " *Cripsianus* Stoliczka, Cret. fauna..., p. 405, pl. 27, fig. 1—3.
 1899 " *Cripsi* Abich, Atlas k Raisoir. Catalogue, Таб. I, pnc. 6.
 1907 " *balticus* Böhm, I. *Crippsi* Auct., S. 113.
 1909 " " Böhm, Subhelicyn. Kreidemulde..., S. 47, Taf. 11, Fig. 2; Taf. 12, Fig. 1.
 1912 " " Woods, Cret. Lam., p. VIII, p. 293, textfig. 51—53.
 1913 " " *Cripsi* Böse, Algunas faunas..., p. 28, lam. II, fig. 8.
 1927 " cf. *balticus* Böhm, Beitr. z. Kenntniss d. Senonfauna., S. 201, Taf. XIII, Fig. 6
 1928 " *regularis* var. *baltica* Heinz, Inoceramen-Profil, Taf. III.

ეს სახე ას ჩვიდმეტი ნიმუშით არის წარმოდგენილი. როგორც ჩვეულებრივად აქაც დაცალეული საგდულების კალაპოტები გვაქვს. ნიმუშები სავესებით ეთანხმებიან სახის ტიპს.

სკულპტურა შედგება მკვეთრი კონცენტრული წიბოებისგან (Anwachstreifen), რომლებიც საკუთარ განზე მეტი მანძილით არიან დაშორებული ერთმანეთს. წიბოთაშორისი მანძილები ცვალებადია სხვადასხვა სტადიაში და სხვადასხვა ნიმუშზე.

ზოგჯერ შესაძლებელია წიბოების განტოტვას ან ჩანამატ წიბოებს ჰქონდეს ადგილი.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. გერმანიაში ეს სახე გვხვდება Quadratense-non-ში. (=ქვ. კამპანური). Woods-ის მიხედვით ინგლისში *I. balticus* გვხვდება *Marzapites testudinarius*-ის ზონიდან *Bel. mucronata*-ს ზონამდე (=ზ. სანტონური—ზ. კამპანური).

ჩხერიმელის ხეობაში *I. balticus*-ის სტრატეგრაფიული დონე ეთანხმება დასავ. ევროპისას; აქ ის გვხვდება *I. subquadratus*-ის და *I. crassus*-ის ზევით. გარდა ჩხერიმელის ხეობისა *I. balticus* არის აგრეთვე კიათურის რაიონში, ხრამის ხეობაში (ზედა ცარცის თხელშრეებრივ კირქვებში) და ალგეთის ხეობაში (ლითოგრაფიული ქვის წყებაში).

კ ო ლ ე ქ ც ი ა: გამყრელიძის, კახაძის, ედილაშვილის, ჩემი.

Inoceramus balticus Böhm var. *pygmea* n. var.

ტაბ. II, სურ. I.

ეს ახალი ვარიეტეტი წარმოდგენილია ორი ძლიერ პატარა ზომის ნიმუშით. ერთს ორივე სადგული აქვს, მაგრამ უკანა მხარე აკლია, მეორე მხოლოდ მარჯვენა სადგულს წარმოადგენს. ორივე შიგა კალაპოტია.

	A	B
სიგრძე	—45 mm	37 mm
სიმაღლე	—25 mm	23 mm
სისქე	—20 mm	11 mm

თხემი თითქმის კიდურია, შეუმჩნეველი, ლიგამენტის ხაზი გრძელია. მოყვანილობით არაფრით განსხვავდებიან ნამდვილი *I. balticus* Böhm-ისგან. სკულპტურა შედგება წვრილი, მკვეთრი კონცენტრული წიბოებისგან. სადგულები თანაბარი ზომის უნდა იყოს.

ნიჟარის გარდატეხა ორივე ნიმუშში უკვე მომხდარია. გარდატეხის შემდეგ სკულპტურა არ სუსტდება, პირიქით, ნაკლები შორღებიან ერთმანეთს და ძლიერდებიან. გარდატეხა უეცარი არ არის, არამედ მეტად თუ ნაკლებად თანდათან.

ორივე ნიმუში აღებულია ჩხერიმელის ხეობაში (ხარაგოულთან) სენონურ კირქვებში *I. balticus*-თან ერთად.

კ ო ლ ე ქ ც ი ა: გამყრელიძის.

Inoceramus Goldfussianus d'Orbigny

1843 *Inoceramus Goldfussianus* d'Orbigny, Pal. Franç., vol. III, p. 517, pl. 411.

1828 „ *regularis* var. *Goldfussianus* Heinz, Inoceramen-Profil Taf. III.

ამ სახეს ვაკუთვნებ ერთ ნიმუშს ჩხერიმელის ხეობიდან (ჯიხველა, ხარაგოულთან), რომელიც აღებულია სენონის სქელ-შრეებრივი კირქვის ნაზვავში. იგი წარმოადგენს მარჯვენა სადგულის შიგა კალაპოტს.

სიგრძე—11 cm.

სიმაღლე—8 cm.

თხემი არაკიდურია. ლიგამენტის კიდე სადგულის სიგრძის 2/3 იქნება. თხემი ოდნავ ამალღებულია ლიგამენტის კიდეზე, შიგნიაკენ მოკაუჭებული. წინა და უკანა კუთხეები ბლაგვია. კიდეები თანდათანობით გადადიან ერთმანეთში.

სკულპტურა შედგება მკაფიოდ განვითარებული კონცენტრული წიბოებისგან, რომლებიც უკანა ნაწილში უეცრად უხვევენ ლიგამენტისაკენ და ბლაგვი კუთხით უახლოვდებიან მას. ამ ნაწილში წიბოები სწორი არიან.

მსგავსება-განსხვავებანი. *I. regularis* d'Orb. განსხვავდება ამ სახისგან კიდური თხემით, დაბალი და ფართე წიბოებით და საერთო მოყვანილობით. *I. balticus* Böhm ჰვავს მას არაკიდური თხემით, მაგრამ განსხვავდება კონცენტრული წიბოების მოყვანილობით: უკანასკნელნი სადგულის უკანა მხარეზე მთლიანად მორგვალებული არიან. გარდა ამისა, *I. Goldfussianus*-ს არ ახასიათებს ნიჟარის გარდატეხა და მისი ნიჟარა ზომიერად და თანაბრად არის გამოხერხილი.

დას. ევროპაში ეს სახე გვხვდება *Bel. mucronata*-ს ზონაში (ზ. კამპანური და მასტრიხტული).

კ ო ლ ე ქ ც ი ა: ჩემი.

Inoceramus regularis d'Orbigny

1843 *Inoceramus regularis* d'Orbigny, Pal. Franç., v. III, p.516, pl. 410.
1906 „ cf. „ Petrascheck, Inoc. a. d. Gosau., S 155.
1928 „ „ Heinz, Inoceramen-Profil., Taf. III.

ამ სახეს ვაკუთვნებ ექვს ნიმუშს, რომლებიც აღებული არიან სურამის სენონურ თეთრ კირქვებში. ყველა შიგა კალაპოტს წარმოადგენს.

	A	B	C
სიგრძე	—50 mm	60 mm	40 mm
სიმაღლე	—37 mm	42 mm	30 mm

კიდური თხემი ცუდად არის დაცული. წინა კუთხე ოდნავ მეტია სწორზე; უკანა კუთხე ბლაგვია. კიდეები მორგვალეზულად გადადიან ერთმანეთში. წინა კიდე უფრო მოკლეა, ვიდრე უკანა (ნიჟარის უკანა ნაწილს მეტი სიმაღლე აქვს). საგდულები ზომიერად და თანაბრად არიან გამოზებრილი.

სკულპტურა შედგება შედარებით დაბალი კონცენტრული წიბოებისგან.

მსგავსება-განსხვავებანი. იხ. *I. balticus* Böhm და *I. Goldfussianus* d'Orb.

შენიშვნა: D'Orbigny-ის მიერ მოცემულ სურათს მარცხენა საგდული მარჯვენაზე ოდნავ უფრო დიდი აქვს. ვინაიდან ჩემ ხელთ დაცალეზული საგდულებია, ამის შესახებ არაფრის თქმა არ შემძლეა.

გავრცელება. Heinz-ის მიხედვით გვხვდება Mukronatensen-ში. ჩემი ნიმუშები აღებული არიან სენონურ ზღარბებთან ერთად, თეთრ კირქვებში, რომლებიც *In. labiatus*-იანი შრეების ბევრად მაღლა არიან.

კოლექცია: გამყრელიძის.

Inoceramus cf. *convexus* Hall & Meek.

1854 *Inoceramus convexus* Hall & Meek, Description of new species..., p. 386, pl. II, fig. 2.

1876 " " Meek, A report..., p. 51, pl. XII, fig. 5.

1913 " " Böse, Algunas faunas..., lam. III, fig. 33, 4.

ამ სახეს ვაკუთვნებ მარცხენა საგდულის ერთ ნაკლულ შიგა კალაპორტს ჩხერიმელის ხეობის კამპანურიდან, რომელიც *In. balticus*-ის და მსგავსთაგან ადვილად გაირჩევა თავისი მორგვალეზულად გაზებრილი საგდულით.

გავრცელება. ამერიკაში ეს სახე გვხვდება Fort Pierre group-ში და Fox Hills group-ში, რომლებიც უდრიან კამპანურს.

კოლექცია: გამყრელიძის.

Inoceramus *alaeformis* Zekeli

ტაბ. II, სურ. 4.

1866 *Inoceramus Cripsii* var. *alaeformis* Zittel, Die Bivalven der Gosaugebilde, S. 97-98, Taf. 14, Fig. 5.

ამ სახეს ვაკუთვნებ ექვსი დაცალეზული საგდულის შიგა კალაპორტს. საგდულებს შორის განსხვავება არ ემჩნევა. ნიმუშები ნაკლულია, მაგრამ ვარაუდით მაინც შეიძლება ზომების მოცემა:

	A	B	C	D
სიგრძე	14 cm	12 cm	8 cm	8 cm
სიმაღლე	9,5 cm	8,8 cm	6 cm	4 cm

თხემი თითქმის კიდურია, პატარა, ლიგამენტის ხაზი შედარებით მოკლეა და საგდულის სიგრძის ნახევარი იქნება.

წინა კიდე თხემიდან შორს არის გამოწეული და მორგვალეზულად გადადის ქვედაში. წინა კუთხე ძლიერ ბლაგვია, —160°, უკანა კუთხე კი გაცილებით უფრო პატარაა, თუმცა ისიც ბლაგვია. საგდულები თითქმის ბრტყელია.

სკულპტურა შედგება წესიერი და მკაფიო კონცენტრული წიბოებისგან (*Anwachsreifen*), რომლებიც კიდეების მოყვანილობას იმეორებენ.

მსგავსება-განსხვავებანი. ჰგავს *I. balticus* Böhm-ს და სხვა მის მსგავს ფორმებს, მაგრამ მკაფიოდ გამოირჩევა ყველასგან შორს გამოწეული წინა კილით.

აღსანიშნავია, რომ დიდ ნიმუშებსაც კი არ ემჩნევათ *I. balticus*-ის მსგავსი ნიჟარის გარდატეხა.

გავრცელება. Zittel-ის ნიმუში გოზაუდან არის (ზ. ტუროსულიდან მასტრიხტულამდე). ჩემი ნიმუშები არიან ძვევიდან (ზედა კარცის კირქვები) და ჩხერიმელის ხეობიდან, სადაც ისინი *I. balticus*-თან ერთად გვხვდებიან.

კოლექცია: კაჭარავასი, გამყრელიძის.

Inoceramus *decepiens* Zittel

ტაბ. VIII, სურ. 1.

1866 *Inoceramus Cripsii* var. *decepiens* Zittel, Die bivalven der Gosaugebilde, Taf. XV, Fig. 1.

1939 *Inoceramus decepiens* Алнев, Иноцерамы..., стр. 225, табл. II, фиг. 1.

სიგრძე — 80 mm

სიმაღლე — 80 mm

ამ სახეს ვაკუთვნებ ერთ ნიმუშს თრიალეთის ქედიდან (ს. ერთაწმინდასთან), რომელიც აღებულია პ. გამყრელიძის მიერ სენო-

ნურ თეთრ კირქვებში. ნიმუში წარმოადგენს მარჯვენა საგდულის შიგა კალაპოტს.

თხემი არაკიდურია, საკმაოდ ამართული. მოკაუჭება არ ჩანს, რადგან სათანადო ნაწილი ქანით არის დაფარული. ლიგამენტის კიდე მოკლეა და მორგვალბულად გადადის უკანა კიდეში. ყველა კიდეები მორგვალბულად გადადიან ერთმანეთში და საერთო მოხაზულობა რამოდენადმე ირიბია, რადგან წინა კიდე უფრო მოკლეა, ვიდრე უკანა, ხოლო ეს უკანასკნელი ბლაგვ კუთხეს ჰქმნის ლიგამენტის ხაზთან.

საგდული სუსტად გამობერილია.

სკულპტურა შედგება მკვეთრი და საკმაოდ წესიერი კონცენტრული წიბოებისგან (*Anwachsreifen*).

მსგავსება-განსხვავებანი. ეს სახე უახლოვდება *In. Mülleri* Petr.-ს, მაგრამ ეს უკანასკნელი გაირჩევა უფრო დაშორებული კონცენტრული წიბოებით და უფრო გრძელი საბმის კილით.

თავისი საერთო მოყვანილობით ადვილად გაირჩევა *balticus*-ის (*Crippsi* Auct.) ჯგუფის სხვა ინოცერამებისგან.

შენიშვნა: *Zittel*-ის დასურათებული ფორმა უფრო გრძელია, ვიდრე ჩემი ნიმუში, მაგრამ ვიღებ რა მხედველობაში ამ ჯგუფის ფორმის ძლიერ ცვალებადობას, შესაძლებლად ვთვლი ჩემი ნიმუშის იდენტიფიკაციას ხსენებულთან.

გავრცელება. *Zittel*-ის ნიმუში გოზაუდან არის (ზ. ტურონული-მაასტრიხტული). ჩვენი ნიმუში აღებულია სენონურ კირქვებში.

ალიევმა ეს სახე იპოვა მთა აღ-დალის *balticus*-ებიან შრებში.

კოლექცია: გამყრელიძის.

Inoceramus Gamkrelidzei n. sp.

ტაბ. II, სურ. 2.

ამ სახეს ვაკუთვნებ ორ ნიმუშს. ორივე მარცხენა საგდულის შიგა კალაპოტებია: ერთი ჩხარის რაიონიდან არის (სოფ. ოქონის მიდამოები, ნაყარიდან), მეორე—ჩხერიმელის ხეობიდან (ჯიხველა, სენონური კირქვა).

	A	B
სიგრძე	—80	mm 55 mm
სიმაღლე	—60	mm 45 mm

თხემი კიდურია, შეუმჩნეველი. საგდული ზომიერად ან სუსტად გამობერილი. წინა კუთხე — 110°, უკანა კუთხე — 75°. უკანა კიდე თითქმის სწორია, წინა კიდე—უფრო მორგვალბული და წინ გამოწეული.

ლიგამენტის ხაზი თითქმის საგდულის სიგრძის ტოლია. საერთო მოყვანილობა რომბულს უახლოვდება.

სკულპტურა შედგება წვრილი კონცენტრული წიბოებისგან (*Anwachsreifen*), რომლებიც საგდულის მოყვანილობას იმეორებენ.

მსგავსება-განსხვავებანი. გამოწეული წინა მხრით ყველაზე უფრო უახლოვდება *I. alaeformis* Zek.-ს, მაგრამ განსხვავდება მისგან იმავე წინა მხრით, რომელიც ნაკლებად გამოწეული, და მახვილი უკანა კუთხით, რაზედაც დამოკიდებულია რომბული მოყვანილობა.

გავრცელება. ჩხერიმელის ხეობაში გვხვდება *I. balticus*-თან ერთად.

კოლექცია: გამყრელიძის, ჩხელიძის.

Inoceramus Simonovitchi n, sp.

ტაბ. III, სურ. 2.

ამ სახეს ვაკუთვნებ ოთხ ნიმუშს ჩხერიმელის ხეობიდან, ერთს ჭიათურის რაიონიდან, ერთს ჩხარის რაიონიდან და სამს აფხაზეთიდან (გუმისტა). აფხაზეთის ნიმუშებს პრიზმული შრე შერჩენილი აქვთ და შედარებით უფრო მთლიანი და უკეთ დაცული არიან. ნიმუშები ძლიერ დიდი ზომისა არიან. ზომებსა და აღწერებს ვიძლევი ერთი, ყველაზე უფრო მთლიანად დაცული ნიმუშის მიხედვით, რომელიც მარცხენა საგდულს წარმოადგენს.

სიგრძე — 27 cm

სიმაღლე — 18 cm

თუ ნაწილობრივ დეფორმაციას არ მივიღებთ მხედველობაში, საგდულები თანაბრად და ზომიერად არიან გამობერილი. საბმის მხარე ქანით არის დაფარული და თხემს წვერი მოტეხილი აქვს. თხემი, საერთო ზომასთან შედარებით, პატარაა, კიდური, და მოკაუჭება არ ემჩნევა. საბმის ხაზი დაახლოვებით საერთო სიგრძის სისუფარი იქნება. წინა კუთხე ბლაგვია, წინა კიდე თითქმის წრული მოხაზულობისაა და თანდათან გადადის ქვედა კიდეში. ქვედა და უკანა კიდეები ჩამოტეხილია და ამიტომ ზომები მიახლოვებითია.

წინა მხარე გამობერილია და საგდულების გამყოფი სიბრტყის მართობული. მის ქვედა ნაწილში ნიჟარის ფორმის უფეცარი ვარდატყვა ჩანს.

სკულპტურა შედგება დაშორებული, მძლავრი, მაგრამ ოდნავ უწყესო კონცენტრული წიბოებისგან (Anwachsreifen), რომლებიც მოზრდილობაში უკანა მხარეზე სუსტდებიან. საერთოდ უნდა ითქვას, რომ დეფორმაციის გამო კონცენტრული წიბოების გაზვიადება ან დასუსტება ხშირია.

მსგავსება-განსხვავებანი. სიმონოვიჩი ამ ფორმებს (იხ. Mat. для геологии Кавказа, 1878, 1886) სხვა დიდ ფორმებთან ერთად უწოდებდა *I. Cuvieri* Sow-ს მაგრამ *I. Cuvieri* Sow-ის ტიპსა და ჩვენ სახეს შორის არავითარი მსგავსება არ არის, როგორც მოხაზულობაში, ისე სკულპტურაში (იხ. *I. Cuvieri* Sow.).

საერთო ჰაბიტუსით ჩვენი სახე ძლიერ ემსგავსება *I. balticus* Böhm-ს, მაგრამ განსხვავდება მისგან დიდი ზომით და ვარდატყვილი ზოლის სიფიწროვით.

სტრატოგრაფიული ვავრცელება. აფხაზეთის ნიმუშები გვხვდებიან *V. involutus* Sow-ანი ვარდისფერი კირქვების ბევრად ზევით, ნატრისფერ სენონურ კირქვებში. ჩხერიმელის ხეობაში ხარაგოულთან (ჯიხველა და გოკიშურა) ისინი გვხვდებიან სენონში *I. salisburgensis*-თან ერთად.

კოლექცია: გამყრელიძის, ჩიხელიძის, ჩხოტუასი.

Inoceramus georgicus n. sp.

ტაბ. III, სურ. 1.

ეს სახე ჩემს კოლექციაში წარმოდგენილია ორმოცი ნიმუშით მთელი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და ამიტომაც ვუწოდებ მას *georgicus*-ს. ბევრ მათგანს პრიზმული შრე შერჩენილი აქვს მთლიანად. როგორც წესი, ნიჟარა ყოველთვის დამსხვრეულია და ბევრი ნიმუში მხოლოდ ნატებს წარმოადგენს, მაგრამ ჩემ ხელთ არის აგრეთვე რამდენიმე საკმაოდ მთლიანი ნიმუშიც, რომლებმაც ამ სახის აწერის შესაძლებლობა მომცეს.

	A	B
სიგრძე	—25 cm	26 cm
სიმაღლე	—19 cm	21 cm

დაცალბეზულ საგდულებს შორის განსხვავება არ არის. თხემი კიდურია. შედარებით პატარა, სუსტად მოკაუჭებული. წინა და

უკანა კუთხეები ბლაგვია. კიდეები მორგვალბულად გადადიან ერთ-სიხეთში.

საგდული თავი ზომასთან შედარებით სუსტადაა გამობერილი. საბმის ხაზი საკმაოდ გრძელია. ერთ ნიმუშს შერჩენილი აქვს თვითლორეამენტის სიბრტყე.

სკულპტურა შედგება სუსტი, თითქმის შეუმჩნეველი ზრდითი ტალღებისგან (*Anwachsrinzel*) და მკაფიო ზრდითი ხაზებისაგან. მათ ელიბსური ან თითქმის წრული მოყვანილობა აქვთ. ალბათ სწორედ ნიჟარის სუსტი დანაოჭების მიზეზითაა, რომ ეს ფორმა კისსაკუთრებით ხშირად გვხვდება ნატეხების სახით. მისი ნიჟარა სიქანიკურ ზემოქმედებას ნაკლებ გაუძლებდა.

მსგავსება-განსხვავებანი. ეს სახე ყველაზე უფრო ახლოს დგას *I. Simonovitchi*-სთან, რომელსაც უახლოვდება საერთო მოყვანილობით. განსხვავება მდგომარეობს სუსტ სკულპტურაში და ვარდატყვის არარსებობაში. სუსტი სკულპტურით აგრეთვე ძლიერ ჰგავს *I. latus* Mant-ს (იხ. Woods. Cret. Lam.), მაგრამ მოხაზულობით სრულიად განსხვავდება მისგან, სახელდობრ სულ არ აქვს უკანა ფრთა.

ვავრცელება. გვხვდება ჩხერიმელის ხეობაში, თრიალეთის ქედზე (ტანა, თეძამი, ძეგვი) და ალბულაის მიდამოებში. ჩხერი-სელაზე ეს სახე *I. Simonovitchi*-სთან ერთად გვხვდება.

კოლექცია: აკად. ჯანელიძის, კაჭარავასი, გამყრელიძის, ჩიხელიძის, ედილაშვილის, ჩემი.

Inoceramus colchicus n. sp.

ტაბ. IV, სურ. 1.

ამ სახეს ვაკუთვნებ ცამეტ ნიმუშს ხარაგოულის მიდამოებიდან, ჩხარის რაიონიდან და ქეშურიდან. ერთ ნიმუშს ორივე საგდული დაცული აქვს და პრიზმული შრითაა დაფარული. ეს სახეც აგრეთვე დიდ ზომას აღწევს.

	A	B	C
სიგრძე	—24 cm	24 cm	17 cm
სიმაღლე	—20 cm	20 cm	14 cm

საგდულები თანაბარია. საერთო მოხაზულობით საესებით მსიქისია *I. Simonovitchi*-ს და *I. georgicus*-ისა. სკულპტურის მხრივ

მათ შორის გარდამავალს წარმოადგენს: პირველისაგან განასხვავებს შედარებით უფრო წვრილი და ხშირი კონცენტრული წიბოები, ხშირად ტალღოების ხასიათის (Anwachsrunzeln), ხოლო მეორისგან—უფრო მძლავრი სკულპტურა.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა . გვხვდება წინა ორ სახესთან ერთად.
კოლექცია: აკად. ჯანელიძის, გამყრელიძის, ჩიხელიძის.

In cycloides Wegn.-ის ჯგუფი

Inoceramus subquadratus Schlüter

ტაბ. I, სურ. 1

- 1909 Inoceramus subquadratus Schröder, Unterer Emscher..., S. 63, Taf. 15, Taf. 16.
- 1911 " " Andert, Die Inoc. d. Kreibitz-Zittauer..., S. 60, Taf. V, Fig. 7.
- 1923 " " & var. Heine, Die Inoceramen..., S. 34, Taf. I, Fig. 1—6; Taf. II, Fig. 1.

ამ სახეს ვაკუთვნებ ორ ნიმუშს; ერთია ჯიხველის ხეობიდან (ხარაგოულთან). სადაც იგი აღებულია ვარდისფერ კირქვებს ზევით ნაცრისფერი კირქვების ქვედა ჰორიზონტებიდან. ნიჟარა დაცული არ არის და ჩემ ხელთაა შიგა და გარე კალაპოტი. მეორე ნიმუში აღებულია რაჭაში, სოფ. ბაჯთან.

სიგრძე 85 mm
სიმაღლე 77 mm

სიგრძე ცოტა მეტია სიმაღლეზე და მოხაზულობა კვადრატულია. თხემი არაკიდურია, შედარებით პატარა. სკულპტურა შედგება წვრილი, მკაფიო კონცენტრული წიბოებისგან (Anwachsreifen).

წინა კუთხე უფრო ბლაგვია, ვიდრე უკანა, რადგან წინა კიდე უფრო გამოწეულია.

რაჭის ნიმუში საკმაოდ გამობერილი არის. ხარაგოულის ნიმუში კი—ცოტა ბრტყელია.

აღსანიშნავია, რომ წიბოები უკანა მხარეზე თხემისკენ მიმართულ უბეს არ ჰქმნიან, მაგრამ არც ავტორების მიერ მოცემულ ყველა სურათს აქვს ასეთი უბეები.

შენიშვნები: Heine არჩევს ამ სახის რამდენიმე ვარიეტეტს. ჩემი მასალის სიმცირე ნებას არ მძლევს დაწვრილებით განვიხილო ეს დაყოფა და ნიმუში რომელიმე ვარიეტეტს მივაკუთვნო.

Heine-ს აზრით ეს სახე შეიძლება წინაპარი იყოს *In. cycloides* Wegn-ის; დროის მიხედვითაც იგი მისი წინამორბედია. საგდულს გამობერილი ფორმით ეს სახე უახლოვდება *I. inconstans* Woods-ს და შეიძლება მისგან, ან საერთო წინაპრისგან იყოს წარმოშობილი.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა . ევროპაში ტიპიურად ემშერის ფორმაა. მისი მდებარეობა ჩვენში ამას არ ეწინააღმდეგება, რადგან იგი *Inoc. insolutus*-იანი ვარდისფერი კირქვის ახლოს გვხვდება ნაცრისფერი კირქვების ძირში.

კოლექცია: აკად. ჯანელიძის, ჩემი.

Inoceramus cycloides Wegner.

ტაბ. I, სურ. 2

- 1905 Inoceramus cycloides Wegner, Granulatenkreide..., S. 162, Fig. 5, 6.
- 1926 " Wegneri Heinz. Lünedurg..., S. 103.
- 1929 " cycloides Heine, Die Inoceramen..., S. 41, Taf. II, Fig. 8 (Typus).

ამ სახეს ვაკუთვნებ სამ საკმაოდ დიდი ზომის ნიმუშს ჩხერი-სელის ხეობიდან (ჯიხველა ხარაგოულთან); ისინი აღებული არიან ზედა ცარცის კირქვებიდან (ვარდისფერ კირქვებს ზევით). ორი ნიმუში მარცხენა საგდულის შიგა კალაპოტს წარმოადგენს, ხოლო ერთს ორივე საგდული აქვს, აქა-იქ შერჩენილი პრიზმული შრით. სამივეს უკანა კიდეები მოტეხილი აქვს.

თხემი კიდურია, შედარებით პატარა, წვეტიანი, ცოტა წინისაკენ და შიგნით გადახრილი. სიგრძე ცოტა ნაკლებია სიმაღლეზე (სიგრძე დაახლოვებითაა გაზომილი).

	A	B	C
სიგრძე	10 cm	11 cm	10 cm
სიმაღლე	12 cm	12,5 cm	12 cm

ლიგამენტის ხაზი საგდულის სიგრძეზე ცოტა ნაკლებია. წინა კუთხე $\approx 100^\circ$, უკანა კუთხე $\approx 100^\circ$. წინა კიდე თითქმის სწორია; სკულპტურის მიხედვით ჩანს, რომ ქვედა და უკანა კიდეები წრულად გადადიან ერთმანეთში. საგდულები თანაბარია.

სკულპტურა შედგება წესიერი, თითქმის წრული, შედარებით ხშირი კონცენტრული წიბოებისგან (Anwachsreifen).

ყველა ამ ნიმუშების მიხედვით ჩემი ნიმუშები საკმაოდ უახლოვდება *Wegner*-ის სახეს.

მსგავსება-განსხვავებანი. *I. subquadratus* Schlüter განსხვავდება აღწერილი ფორმისგან უფრო გამობერილი საგდულე-ბით, უფრო გრძელი ლიგამენტის ხაზით, არაკიდური თხემით და კვადრატული მოხაზულობით. მისი ერთერთი ვარიეტეტი var. *arrod-data* Heine, Heine-ს აზრით *In. cycloides*-ის წინაპარი უნდა იყოს.

Woods-ის textfig. 50 (*I. inconstans*-ის ბრტყელი სახესხვაობა) შეიძლება ამ სახეს ეკუთვნოდეს.

გავრცელება. Wegner-მა ეს სახე ასწერა Granulatenkreide-დან (=სანტონურს). Heinz-ის მიხედვით ზედა ემშერშიც ჩადის.

ჩვენი ნიმუშების მდებარეობა უფრო სანტონურს ეთანხმება, რადგან ისინი *I. subquadratus* Schlüter-ს ზევით გვხვდებიან.

კოლექცია: გამყრელიძის, ჩემი.

Inoceramus Abichi Djanélidzé in coll.

ტაბ. V, სურ. 3.

1899 *Inoceramus* sp. indet. Abich, *Raisonir. Catalogue...*, Таблицы и карты, Таб. I, рис. II.

ეს სახე წარმოდგენილია ოთხი ნიმუშით: სამი ჩხერიმელის ხეობიდანაა, ერთი ჩხარის რაიონიდან. უკანასკნელი ნიმუში ძლიერ დეფორმებულია. ორი ნიმუში მარჯვენა საგდულს წარმოადგენს, ორი — მარცხენას. აქა-იქ ბოჭკოვანი შრის ნაშთებიცაა.

ზომებს არ ვიძლევი, რადგან ნიმუშები ნაკლები არიან. მაგრამ სკულპტურის მიხედვით ჩანს, რომ სიმაღლე ოდნავ სკარბობს სიგრძეს. თხემი კიდურია, შიგნით და ოდნავ წინისკენ გადახრილი. საბმის ხაზი სიმაღლის ნახევარი იქნება დაახლოვებით. წინა კუთხე ბლაგვია და წინა მხარე ძალიან წინ გამოწეული. ფრთა არ არის. საგდულეები ძალიან გამობერილია, განსაკუთრებით თხემის ნაწილში.

სკულპტურა შედგება ძლიერ მკვეთრი და წვრილი კონცენტრული წიბოებისგან (*Anwachsreifen*), რომლებიც თხემის ახლოს თითქმის წრული მოყვანილობის არიან. ზოგჯერ ჩანამატი წიბოებიც ჩანს ისეთივე სიმძლავრის, როგორც მთავარი წიბოები.

მსგავსება-განსხვავებანი. აღწერილი ფორმა ძლიერ ჰგავს *In. cycloides* Wegn.-ს, მაგრამ განსხვავდება მისგან ბევრად უფრო გამობერილი საგდულეებით და უფრო წვრილი წიბოებით.

გავრცელება. ხარაგოულის ნიმუშები აღებული არიან სენონური კირქვების ზედა ნაწილში *I. balticus* Böhm-თან ერთად. ჩხარის ნიმუში აღებულია კონიაკური *V. Koeneni*-ს ზევით.

კოლექცია: გამყრელიძის, ჩიხელიძის.

Inoceramus salisburgensis Fugger & Kastner

ტაბ. II, სურ. 3

1906 *Inoceramus salisburgensis* Petrascheck, *Inoc. a. d. Gosau*, S, 164 Fig. 3.

ეს სახე წარმოდგენილია ორმოცდარვა ნიმუშით, რომლებიც შიგა კალაპოტებს წარმოადგენენ, აქა-იქ შერჩენილი პრიზმული შრით. უმეტესობა დიდი ზომისაა.

	A	B	C
სიგრძე	16 cm	15 cm	16 cm
სიმაღლე	15 cm	13 cm	14 cm

სიდიდესთან შედარებით საგდულეები სუსტად ან ზომიერად არიან გამობერილი. თხემი კიდურია, საშუალო ზომის და ძლიერ წინ გადახრილი. მოკაუჭება არ ემჩნევა. ლიგამენტის ხაზი საერთო სიგრძის $\frac{2}{3}$ იქნება.

წინა კიდე თხემიდან შორს არის გამოწეული და მორგვალე-ბულია. ლიგამენტი მასთან ბლაგვ კუთხეს ჰქმნის. კიდეები ერომანეთში მორგვალეებულად გადადიან და უკანა კიდეც ლიგამენტთან ბლაგვ კუთხეს ჰქმნის.

სკულპტურა შედგება ზრდითი ტალღოებებისგან (*Anwachsrunzeln*), რომლებიც ახალგაზრდობაში ახლო-ახლოს არიან, შემდეგ კი თანდათან შორდებიან ერთმანეთს. ეს ნაოჭები ახალგაზრდობაში ასიმეტრიული მოყვანილობისა არიან და მათი უდიდესი სიმრუდეები ემთხვევიან საგდულის ლერძს, რომელიც დაახლოვებით 45° ჰქმნის ლიგამენტის ხაზთან. წინა მხარეზე ახალგაზრდობაში ნაოჭები თხემის ძირში იყრიან თავს. მოზრდილობაში ნაოჭები უფრო შორდებიან ერთმანეთს, დაბლდებიან და მოხაზულობით წრულს უახლოვდებიან. იწვევს დროს საგდულიც უფრო ბრტყელი ხდება.

ნივარის ნაშთებს ცხადად ემჩნევა ზრდის ხაზები.

ერთ ნიმუშა (ხრამის ხეობა) ემჩნევა სუსტი რადიალური წიბა-კებიც (*Radialrippeln*), როგორც Petrascheck-ისას.

მსგავსება-განსხვავებანი. ეს სახე ახლოა ჯგუფის ძირითად სახესთან, — *I. cycloides* Wegn., რომლისგანაც განსხვავდება საკლები სიმაღლით, უფრო გრძელი ლიგამენტით და ნაკლებ წესიერი წიბოებით.

საერთოდ, ასაკის მიხედვით სკულპტურის ცვალებადობით ეს სახე ადვილად გაირჩევა სხვა დიდი ფორმებისაგან.

გავრცელება. Petrascheck-ის მიხედვით ეს სახე დამახასიათებელია მხოლოდ ალპების ფლიშისთვის და ჩ. ევროპაში არ გვხვდება. E. Kayser ისტორიული გეოლოგიის კურსში (II, S. 193) მას ასხენებს *Brl. mucronata*-სთან ერთად.

ჩვენი ნიმუშების უმეტესობა არის ჩხერიმელის ხეობიდან (ჯიხველა ხარაგოულთან, სენონის სქელშრეებრივი კირქვებიდან და ზეარულა მოლითთან, თხელშრეებრივი კირქვების ზედა ნაწილიდან). აქ მათი მდებარეობა ეთანხმება დასავლეთ ევროპულს, რადგან ეს სახე ყველაზე მაღალი სტრატოგრაფიული მდებარეობის ინოცერამია. რამდენიმე ნიმუში არის აგრეთვე ჩხარის და ჭიათურის რაიონიდან, ხრამის ხეობიდან და ძეგვის მიდამოებიდან.

კოლექცია: გამყრელიძის, ჩიხელიძის, კახაძის, ჩემი.

Inoceramus nebrascensis Owen

ტაბ. VIII, სურ. 2

1876 *Inoceramus sagensis* var. *nebrascensis* Meek, A report on the..., p. 52 pl. 13, fig. 2.

ამ სახეს ვაკუთვნებ ოთხ შიგა კალაპოტს ჩხერიმელის ხეობიდან (ჯიხველა). ბოჭკოვანი შრის მცირე ნაშთებია გადარჩენილი.

ნიმუშები საკმაოდ დიდი ზომის არიან და თითქმის წრული მოხაზულობის.

	A	B	C
სიგრძე	10,5 cm	14 cm	12 cm
სიმაღლე	11 cm	14 cm	10 cm

მარჯვენა და მარცხენა საგდულებს შორის განსხვავება არ არის. თხემი კიდურია, მაღალი, შიგნით მოკაუჭებული. ლიგამენტის ხაზი შედარებით მოკლეა. წინა კუთხე — 120°.

სკულპტურა შედგება კონცენტრული წიბოებისგან (*Anwachsreifen*), რომლებიც მორიგეობით ხან ძლიერი არიან, ხან სუსტი; ხშირად სუსტი წიბო ნაპირისკენ უერთდება ძლიერს და ორივე ჰქმნის ერთ წყვილს, როგორც ეს Meek-ის მოცემულ სურათზე ჩანს.

ჩემი ნიმუშებიდან ერთს თხემი ოდნავ უფრო მაღალი აქვს, ვიდრე ამერიკულს.

მსგავსება-განსხვავებანი. *I. Balchi* M. & H. განსხვავდება ამ ფორმისგან დაშორებული, სუსტი და ფართე წიბოებით; *I. Vanuxemi* M. & H. — გაცილებით უფრო დაბალი და პატარა თხემით და უფრო დაშორებული, მკვეთრი ნაოჭებით; *I. Sagensis* Owen — უფრო დიდი წინა კუთხით.

გავრცელება. ამერიკაში გვხვდება Fort Pierre Group-ში, რომელიც უღრის ევროპის ქვედა კამპანურს (*Bubnoff*, 21). ჩვენი ნიმუშები აღებული არიან *I. salisburgensis*-სთან ერთად ან ცოტა ქვევით.

კოლექცია: გამყრელიძის.

Inoceramus cf. *Vanuxemi* Meek & Hayden.

1876 *Catillus Vanuxemi* Meek, A report..., p. 57, pl. XVI, fig. 2.

ამ სახეს ვაკუთვნებ ერთ დიდი ზომის და უსრულო შიგა კალაპოტს, რომელსაც ორივე საგდული შერჩენილი აქვს. ნიმუშს აქლია უკანა და ქვედა ნაწილები და ცოტა გაბრტყელებულია.

თხემი კიდურია და პატარა. სკულპტურის თითქმის წრული მოხაზულობის მიხედვით სიგრძე-სიმაღლე თანაბარია ან სიმაღლე ცოტა სჭარბობს. საგდულები თანაბარია და სუსტად გამოხედილი. წინა კუთხე — 130°.

სკულპტურა შედგება დაბალი, დაშორებული და წესიერი წიბოებისგან (*Anwachsreifen*).

მსგავსება-განსხვავებანი. ეს სახე ძალიან ახლოა *In. cycloides*-თან, რომლისგანაც განსხვავდება გაცილებით უფრო დიდი წინაკუთხით და უფრო შეუმჩნეველი თხემით. ასევე ახლოა იგი *In. ezoënsis*-თან, რომელსაც ნაკლებ წრული მოყვანილობა და ცოტა უფრო გამოხედილი საგდულები აქვს.

გავრცელება. ამერიკაში ეს სახე გვხვდება კამპანურ Fort Pierre group-ში. ჩემი ნიმუში აღებულია ხარაგოულის მიდამოების კამპანურში.

კოლექცია: გამყრელიძის.

Inoceramus ezoënsis Yokoyama

ტაბ. VII, სურ. 1

1889-90 *Inoceramus ezoënsis* Yokoyama, Verst. a. d. jap. Kr., S. 147, Taf. 28, Fig. 6, 7.

ამ სახეს ვაკუთვნებ ერთ შიგა კალაპოტს, რომელიც მარცხენა სიკსულს წარმოადგენს და აღებულია ჩხერიმელის ხეობაში ხარაგოულიდან, სენონის კირქვებში. ნიმუში საკმაოდ მოზრდილია.

სიგრძე 12 cm

სიმაღლე 10,5 cm

|| საქართველოს ცარცული ინოცერამები

საგდული ზომიერად გამობერილია. მისი ღერძი (თანხვედბა კონცენტრული სკულპტურის უდიდესი სიმრუდის ღერძს) ლიგამენტთან ჰქმნის 45°. თხემი კიღურია. ლიგამენტზე ოდნავ ამალღებული. საბმის ხაზი დაახლოვებით საგდულის ნახევარი იქნება. წინა კუთხე $\pm 120^\circ$.

სკულპტურა შედგება დაბალი, მკაფიო კონცენტრული წიბოებისგან (Anwachsreifen).

მსგავსება-განსხვავებანი. ეს სახე ძალიან ახლოს დგას საერთო ჰაბიტუსით ამერიკულ ფორმებთან. *I. Balchi* M & V. და *I. sagensis* Owen. განსხვავდებიან ამ სახისაგან უფრო მაღალი თხემით, უფრო პატარა წინა კუთხით; *I. Vanuxemi* M. & H. უფრო წრული მოყვანილობისა და უფრო წვრილი წიბოები აქვს.

შენიშვნა: ჩემი ნიმუში ცოტა განსხვავდება Yokoyama-ს Fig. 6-სგან ნაკლებ წრული სკულპტურით, მაგრამ სხვა მხრივ ყველაზე მეტად ამ სახეს ეთანხმება.

Yokoyama-ს Fig. 7 მაღალი თხემით და უფრო პატარა წინა კუთხით უფრო მიემგავსება *I. Balchi* M. & H-ს.

გავრცელება. იაპონური ნიმუში აღებულია Urakawa-სთან მოწითლო და რუხ კირქვებში, სადაც Yokoyama-ს ნაპოვნი აქვს აგრეთვე Arialoor Group-ის *Desmoc. Gardeni* Bailey და *Desmoc. Gaudama* Forbes. თვით Arialoor Group ინდოეთში სენონის ანალოგი არის. ჩვენი ნიმუშის მდებარეობა ისეთივეა, როგორც *I. nebrascensis* Owen-ის,

კოლექცია: გამყრელიძის.

Inoceramus altus Meek.

ტაბ. IX, სურ. 2

1876 *Inoceramus altus* Meek, A report..., p. 43, pl. 14, fig. 1.

ეს სახე წარმოდგენილია ოთხი ნიმუშით, რომელთაგან ორი ბორჩალოდან არის და ორი ხარაგოულის მიდამოებიდან. ერთი მარცხენა საგდულს წარმოადგენს და სამი მარჯვენას. უკანასკნელთაგან ერთს შერჩენილი აქვს პრიზმული შრე.

	A	B	C
სიგრძე	60 mm	85 mm	80 mm
სიმაღლე	65 mm	90 mm	80 mm

თხემი კიღურია, მაღალი და წინ წახრილი; მოკაუჭება სუსტი აქვს. საბმის კიღე სწორია, საგდულის სიგრძის $\frac{2}{3}$ იქნება. წინა

კუთხე სწორია, უკანა კუთხე ბლაგვია. დანარჩენი კიღეები მორგვალეზულად გადადიან ერთმანეთში; ღერძის კუთხე 45—50°.

საგდული სუსტად გამობერილია და საბმის კიღესთან ფრთისებურად გაბრტყელებული.

სკულპტურა შედგება მკაფიო კონცენტრული წიბოებისგან (Anwachsreifen), რომელთა უდიდესი სიმრუდეები თანხვედბა საგდულის ღერძს.

გავრცელება. ამერიკაში ეს სახე გვხვდება Fort Pierre group-ში (ქვედა კამპანური).

ჩვენი ნიმუშებიდან ორი აღებულია ხარაგოულის კამპანურ კირქვებში, ერთი აღბუღლის ლითოგრაფიულ წყებაში, რომელიც აგრეთვე კამპანურია, ხოლო მეოთხე ხრამის ხეობის (წითელი ხიდი) ზედა ცარცის კირქვებში.

კოლექცია: გამყრელიძის, ტოგონიძის, ჩემი.

Inoceramus pertenuis Meek & Hayden

1876 *Inoceramus pertenuis* Meek, A report..., p. 47, pl. 37, fig. 3; pl. 38, fig. 3.

ეს სახე ჩემ კოლექციაში წარმოდგენილია ხუთი შიგა კალაპოტით, რომლებსაც აქა-იქ პრიზმული შრის ნაშთებიც შერჩენიათ.

სხვადასხვა საგდულების შედარებიდან ვასკენი, რომ ეს სახე თანაბარ საგდულიანი უნდა იყოს. საგდულები გამობერილია, განსაკუთრებით თხემის ნაწილში. თხემი მსხვილია, ბლაგვი, კიღური, ლიგამენტზე ოდნავ ამალღებული.

წინა კიღე წინ გამოწეულია და საბმთან ბლაგვ კუთხეს ჰქმნის. ლიგამენტი ხაზი ნიჟარის საერთო სიგრძის ნახევარი იქნება და უკანა კიღეში თანდათანობით გადადის. ყველა კიღეები ერთმანეთში მორგვალეზულად გადადიან.

	A	B
სიგრძე	10 cm	13 cm
სიმაღლე	6 cm	10 cm

სკულპტურა შედგება რამდენიმე უწესო ტალღობისაგან (Anwachsrinzeln). ნიჟარის ნაშთებზე აგრეთვე ზრდითი ხაზებიც ემჩნევა. აღსანიშნავია, რომ თხემი დანარჩენი ნიჟარისაგან გამოყოფილია კარით, რომელიც მას გარს უვლის.

მსგავსება-განსხვავებანი. უახლოვდება *I. multiplicatus* Stol.-ის ზოგიერთ სახესხვაობას, მაგრამ გაირჩევა მათგან მეტი სიმსილით და უფრო მასივი, ღარივით გამოყოფილი თხემით.

გავრცელება. ამერიკაში გვხვდება Fox Hills Group-ში (ზ. კამპანური). ჩვენი ნიმუშების მდებარეობაც ამას ეთანხმება: ისინი გვხვდებიან *I. salisburgensis* Fugg & Kastn.-თან ერთად სენონურ კირქვაში.

კოლექცია: ვამყრელიძის, ჩემი.

Inoceramus planus Münster

ტაბ. IV, სურ. 2.

- 1836 *Inoceramus planus* Goldfuss, Petr. Germ., S. 110, Taf. 113, Fig. 1
- 1845—46 " " Reuss, Verst. Böhm. Kreide, S. 25, Taf. 37: Fig. 11.
- 1850 " " d'Orbigny, Prodrôme, II, p. 250
- 1872 75 " " Geinitz, Elbthalgebirge, II, S. 49.

ეს სახე წარმოდგენილია ერთი ნიმუშით, რომელიც ჩხერიმელის ხეობაშია აღებული ხარაგოულთან. ნიმუში ძლიერ დიდი ზომისაა და წარმოადგენს შიგა კალაპოტს.

სიგრძე 22 cm
სიმაღლე 23 cm

ნიმუშს ორივე საგდული აქვს, მაგრამ მარცხენა აცურებულა ზევით და მარჯვენის ზომაზე ჩამოტეხილი.

თხემი კიდურია, პატარა და შეუმჩნეველი. წინა კუთხე ბლაგვია, საერთო მოყვანილობა თითქმის წრული. ლიგამენტის სიბრტყის წინა ნაწილი გადარჩენილია. საერთო ჰაბიტუსის მიხედვით ჩანს, რომ ლიგამენტის ხაზი გრძელი არ იქნებოდა. საგდულს ემჩნევა გაბრტყელება (დეფორმაცია).

სკულპტურა შედგება შედარებით ხშირი ზრდითი ტალღობებისგან (Anwachsrünzeln), რომლებიც კიდებისაკენ სუსტდებიან. მათი უდიდესი სიმრუდეების ღერძი (იმავე დროს საგდულის ღერძი) ლიგამენტთან 70—75° ჰქმნის.

ჩემთვის ცნობილი ყველა სახეებიდან ეს ნიმუში *I. planus* (Goldf) Münster-ს უახლოვდება.

მსგავსება-განსხვავებანი. ზერეულე განხილვისას ძლიერ ჰგავს *I. colchicus*-ს, მაგრამ უფრო გულდასმით დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ამ სახეს ნაკლები სიგრძე აქვს, გაცილებით უფრო დიდი ღერძის კუთხე და ბევრად მოკლე ლიგამენტის ხაზი.

გავრცელება. ევროპაში სენონურია. ჩემი ნიმუში აღებულია *I. salisburgensis*-იან კირქვებში.

კოლექცია: ვამყრელიძის.

მეცხვარი MYTHLOIDES Brongniart 1824

ამ ქვეგვარისთვის დამახასიათებელია ნიჟარის სწრაფი ზრდა საგდულის ღერძის გასწვრივ, რაც იწვევს ნიჟარის შესამჩნევ წაგრძელებას ამ მიმართულებით. ამაზე დამოკიდებული ამ ქვეგვარის წარმომადგენლების mytiloid-ური ფორმა.

ღერძის კუთხე ქანაობს 20°—70° შორის. საბმის ხაზი შედარებით მოკლეა და ჰქმნის პატარა, გამოუყოფელ ფრთას. (იხ. სურ. 1 B).

ქვეგვარი *Mytiloides* გამოეყო სენომანურში (იხ. *M. bolemicus*), ხოლო მისი ტიპია *M. labiatus* Schloth.

Mytiloides bohemicus Leonhard

ტაბ. I, სურ. 5, 6.

- 1843 *Inoceramus striatus* d'Orbigny, Pal. Franç., III, p. 508, pl. 405.
- 1870 " " Roemer, Oberschlesien, Taf. 29, Fig. 6.
- 1872—75 " " Geinitz, Elbthalgebirge, I, S. 210, Taf. 46, Fig. 9—13.
- 1884—85 " " Noetling, Die Fauna d. balt. Cenoman..., S. 218, Taf. III, Fig. 11—12.
- 1903 " *bohemicus* Petrascheck, Inoc. u. d. Kreide..., S. 153.

ამ სახეს ვაკუთვნიებთ ოთხ ნიმუშს: სამი მათგანი შიგა კალაპოტია, ხოლო ერთი (ყვანჯარიდან) დაფარულია პრიზმული შრით. ნიმუშები დატალკელებულ საგდულებს წარმოადგენენ, რომელთაგან მხოლოდ ერთია მარჯვენა (გუმისტიდან).

თხემი კიდურია, წვეტიანი, წინისკენ გადახრილი. ლიგამენტის ხაზი საგდულის სიგრძეზე მოკლეა.

	A	B	C	D
სიმაღლე	45 mm	40 mm	39 mm	35 mm
სიგრძე	33 mm	30 mm	30 mm	28 mm

საგდულის ღერძი ლიგამენტთან დაახლოვებით 60°-ს ჰქმნის. წინა კუთხე მახვილია და ნიჟარს ირიბი, mytiloid-ური ფორმა აქვს. წინა, ქვედა და უკანა კიდე მორგველებულად გადადიან ერთ-მსოფში. საგდულები ზომიერად გამოზებრილია. ლიტერატურული ცნობების მიხედვით მარცხენა საგდულს უფრო გრძელი თხემი აქვს. სწრაფხარად ერთად-ერთ მარჯვენა საგდულს, რომელიც ჩემ განკარგულებაშია, თხემი მოტეხილი აქვს და შედარება არ შემოძლია.

სკულპტურა შედგება სუსტი და წვრილი ზრდითი ტალღობებისგან (Anwachsrünzeln), რომლებიც თხემთან იყრიან თავს. გარდა

ამისა ერთ ნიმუშს, რომელიც უფრო წმინდა მარცვლოვან ქანშია აღებული (ცაიში), რადიალური ხაზებიც (Radialstriemen) ემჩნევა. რადიალური ხაზები აღნიშნული აქვს Petrascheck-საც.

მსგავსება-განსხვავებანი. ძლიერ ჰგავს *I. orbicularis* Mant.-ს, რომლისგანაც განსხვავდება mytiloid-ური ფორმით. ამ ორი სახის საშუალებით უკავშირდებიან ერთმანეთს ქვეგვარები *Inoceramus* და *Mytiloides*.

მთელი რიგი ავტორები, ამ სახეს ასწერდნენ *I. striatus* Mant-ის სახელით. მაგრამ ნამდვილი *I. striatus* Mant (იხ. Woods, pl. 51, Fig. 5) ზედა ტურონულია და მასივი, არაკიდური თხემი და გამობერილი საგდულები აქვს.

გარდა ამისა, ზოგი ავტორის მიერ *striatus*-ის სახელით სულ სხვა ფორმებიცაა აღწერილი. მაგ: *I. striatus* Goldf. = *I. inaequivalvis* Schl (იხ. Schlüter 66); *I. striatus* Geinitz (27), ნაწილობრივ (II, Taf. 13, Fig. 1,2) = *I. cuneiformis* d'Orb.-ს (იხ. Petrascheck, 1903) და ნაწილობრივ (Taf. 13, Fig. 10) = *I. vancouverensis* Shum. mut. ant. *Schöndorfi* Heinz (იხ. 34).

გავრცელება. ევროპაში სენომანურია. ჩვენი ნიმუშებიდან ერთი აღებულია გუმისტაზე გლაუკონიტთან ქვიშაქვებიდან (იხ. *In. Crippsi* Mant., *In. tenuis* Mant., *In. virgatus* Schlüt.); ერთი ყვანჯარაში გლაუკონიტთან ქვიშაქვებიდან (იხ. *In. pictus* Sow.); ერთი ცაიშიდან არის (ქვიშაიან გლაუკონიტთან მერველებში, *In. Crippsi* Mant-თან ერთად), ხოლო ერთის საბადო უცნობია.

კოლექცია: ჩხოტუასი, კაპარავასი, რუხადის.

Mytiloides labiatus Schlotheim

1836	<i>Inoceramus mytiloides</i>	Goldfuss, Petr. Germ..., S. 111, Taf. 113, Fig. 4.
1843	„ problematicus	D'Orbigny, Pal. Franç., v. III, p. 510 pl. 406.
1845-46	„ mytiloides	Reuss, Die Verst. d. böhm. Kr., S. 26, Taf. 37, Fig. 16.
1871	„ labiatus	Stoliczka, Cret. fauna of S. India., p. 408, pl. 29, fig. 1.
1872-75	„ „	Geinitz, Elbthalgebirge, II, S. 46, Taf. 12, Fig. 1-3.
1876	„ „	Schlüter, Zur Gatt. Inoceramus, S. 262.
1903	„ „	Petrascheck, Die Inoceramen..., S. 156.
1911	„ „	Woods, Cret. Lam., p. VII, p. 281, pl. 50; fig. 1-6.
1913	„ „	Böse, Algunas faunas..., p. 25, lam. II, fig. 1-3, 5, 6 (non 4).

1916	„ „	Arхангельский, Туркестан., стр. 12, таб. I, фиг. 20-22.
1928	„ „	Heinz, Inoc. Süd-Amerikas..., S. 61.
1933	<i>Mytiloides</i>	Heinz, Madagaskar..., S. 248, Taf. 17, Fig. 1-3.
„	„ Jacobi	Ibid., S. 249, Taf. 17, Fig. 4.
1934	<i>Inoceramus labiatus</i>	var. mytiloides. Seitz, Das Variabilität..., S. 435, Abb. 2-5; Taf. 36, Fig. 1-4; Taf. 37, Fig. 4, 5.
1934	„ „	var. submytiloides Seitz, Das Variabilität..., S. 444, Abb. 6-8, Taf. 37, Fig. 1-3.
„	„ „	labiata, ibid., S. 448, Taf. 38, Fig. 1-3; Abb. 9, 10.
1935	„ „	Audert, Kreideablagerungen..., S. 136.
ი.ა. 1883	„ „	Никитин, Следы Мел. пер., стр. 34, таб. V, фиг. 10, 11.
1929	„ „	Heine, Die Inoceramen..., S. 56, Taf. V, Fig. 25, 26.

ეს სახე წარმოდგენილია 6 ნიმუშით; ყველა დაცალეული საგდულის შიგა კალაპოტებია.

დეფორმაციის გამო ყველა ნიმუში მეტად თუ ნაკლებად გაბრტყელებულია.

დაცალკეებულ საგდულებს შორის შესამჩნევი განსხვავება არ არის. თხემი კიდურია, პატარა, ზევით ამართული და ამიტომ შთაბეჭდილებას სტოვებს თითქოს უკანაა გადახრილი. სურათების მიხედვით თხემის წვეტი შიგნით და წინისკენაა მოკაუჭებული, მაგრამ ჩემს ნიმუშებს ეს არ ემჩნევა. ლიგამენტის ხაზი მოკლეა და ჰქმნის პატარა გამოუყოფელ ფრთას. საგდულის ღერძი ლიგამენტთან ჰქმნის 45°-60°-ს. დამახასიათებელია საგდულების მკაფიო წაგრძელება ღერძის გასწვრივ. წინა კუთხე > 90° (ძლიერ გაბრტყელებულ ნიმუშებს მეტი აქვთ). უკანა კუთხე > 90°.

სკულპტურა შედგება წესიერი, წაგრძელებული ოვალის მოყვანილობის უთანაბრო კონცენტრული წიბოებისგან ან რგოლობებიან (ქელობებიანი) წიბოებისგან (*Anwachsring (Kamm) reifen*). მათი სკულპტურა მეტად თუ ნაკლებად საგდულის ღერძს თანხვედბა.

მსგავსება და განსხვავება. ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და მკაფიოდ გამოჩენილი სახეა. როდესაც *In. (M.) labiatus* გაბრტყელებულია, ზერელე დაკვირვებისას ის ძალიან გასარჩევია *In. (M.) hercynicus*-ისგან, მაგრამ გულდასმითი შესწავლის შემდეგ ყოველთვის ირკვევა, რომ *M. labiatus*-ის კონ-

ცენტრული წიბოები საგდულის ღერძის გასწვრივ წაგრძელებული. თითქმის წესიერი ოვალის მოყვანილობისა არიან, მაშინ როდესაც *In. hercynicus*-ის წიბოები საგდულის ღერძის მიმართ უფრო ასიმეტრიული არიან და ტრაპეციოიდული მოყვანილობა აქვთ.

Seitz-ი (1934) *In. hercynicus* Petr. და *In. opalensis* Böse-ს სთვლის *In. labiatus*-ის ვარიეტეტებად; გარდა ამისა, ის გამოაყოფს აგრეთვე ახალ ვარიეტეტებსაც: var. *mytiloides* Mant., var. *submytiloides* Seitz., var. *labiata* Schl. და var. *subhercynica* Seitz. ასეთ დაკავშირებას ის ასაბუთებს მით, რომ მოზრდილობისას ეს ფორმები მკაფიო mytiloid-ურ ფორმას იღებენ და საკუთრივ *In. labiatus*-ს ემსგავსებიანო, თუმცა ახალგაზრდობისას ზოგი მათგანი განსხვავდება ძირითადი სახისგან მოყვანილობითო. თუ ამ საკითხს ჩვენ ონტოგენეტური განვითარების თვალსაზრისით მივუღებთ, ცხადი გახდება, რომ საქმე კონვერგენციასთან გვაქვს და არა ვარიეტეტებად. *In. hercynicus* Petr. ყოველთვის განსხვავდება *In. labiatus*-ისგან სკულპტურის რავარობით (იხ. ზემოთ) და ამიტომ მისი ვარიეტეტი ვერ იქნება. *In. opalensis* Böse ახალგაზრდობაში თითქმის წრიული მოყვანილობისაა და ზოგჯერ მხოლოდ მოზრდილობაში ემსგავსება *labiatus*-ს (f. *elongata*, Seitz-ის მიხედვით). ამგვარადვე *In. subhercynicus* Seitz. ახალგაზრდობაში არა ჰვავს *In. labiatus*-ს და ზოგიერთი მოზრდილი ფორმა (f. *transiens* Seitz) ემსგავსება მას წაგრძელებული მოყვანილობით. ვინაიდან აღნიშნული ფორმები ახალგაზრდობაში (რაც თხემის ნაწილების შედარებით ჩანს) განსხვავდებიან ჩვენი სახისგან, ამიტომ შემდეგი მათი დამსგავსება მხოლოდ კონვერგენციას უნდა მიეწეროს. ვარიეტეტები, პირიქით, ახალგაზრდობაში უნდა ჰგავდნენ ერთმანეთს და მოზრდილობაში განსხვავდებოდნენ, ვინაიდან ისინი ერთი სახისგან წარმოიშვებიან. ამის გამო უმჯობესია აღნიშნული ფორმების დამოუკიდებელ სახეებათ განხილვა, ხოლო ის, რასაც Seitz-ი უწოდებს forma-ს, გადაიტყვევა ვარიეტეტად.

ისევ ონტოგენეტური განვითარების თვალსაზრისით var. *mytiloides*, var. *submytiloides* და var. *labiata*-ს გამოყოფა გამართლებულია: ეს ვარიეტეტები თხემის ნაწილებით სავსებით მსგავსი არიან ერთმანეთის და მხოლოდ შემდეგში იჩენს თავს პატარა განსხვავებები, რომლებიც ზუსტი გაზომვის საშუალებით ირკვევიან.

მაგრამ ასეთი გარჩევისთვის კარგად დაცული და მდიდარი მასალაა საჭირო, რადგან დეტორმაცია მორფოლოგიურ ნიშნებს ამახინჯებს. ჩემი მასალა ამ ვარიეტეტების გარჩევის საშუალებას არ მაძლევს.

Andert-ის მიხედვით (1934) Heine-ს ემშერული *I. labiatus* უნდა ეკუთვნოდეს *I. sublabiatus* G. Müll.-ს.

შენიშვნა: სიმონოვიჩი ხშირად ახსენებს ამ ფორმას: დასაწყისში (1875, Mat. для геол. Кавк.) *I. problematicus* d'Orb-ის, შემდეგ *I. (problematicus d'Orb.) mytiloides* Mant.-ის (1885, Ibid.) და ბოლოს *I. mytiloides* Mant.-ის სახელით (1886, Ibid). სთვლის ტურონულად.

გავრცელება. ტურონულის სულ ქვედა ზონის ნამარხია. ჩვენი ნიმუშები აღებული არიან სურამის საულელტეხილო რკინის-გზის გასწვრივ ზედა ცარცის კირქვების ქვედა ნაწილიდან; ჩხერი-მელის ხეობაში (ზეარულა და მისი შენაკადები) თხელშრებრივი ფოლადისფერი მერგელებიდან; ნიკორწმინდის რაიონში გლაუკონიტიანი ქვიშაქვების თავზე, ზედა ცარცის კირქვების ძირას; თრიალეთის ქედზე ზვედურეთის წყვილიდან და ფოლადისფერი მერგელებიდან; თითო-ოროლა ნიმუში არის სხვა ადგილებიდანაც.

ჩვენი ნიმუშების სტრატეგრაფიული დონე შეესაბამება ევროპულს.

კოლექცია: აკად. ალ. ჯანელიძის, გამყრელიძის, ჩემი.

Mytiloides opalensis Böse

- 1913 *Inoceramus labiatus* Böse, *Algunas faunas...*, lam. III, fig. 2.
- 1916 " " var. *lata* Архангельский, Туркестан, таб. II, рис. 2.
- 1923 " *opalensis* Böse, *Algunas faunas...*, p. 184, lam. XIII, fig. 1-3.
- 1934 " *labiatus* var. *opalensis* Seitz. *Das Variabilität...*, S. 457, Abb. 13-16; Taf. 38, Fig. 4-6; Taf. 39, Fig. 1-4.

ეს სახე წარმოდგენილია შვიდი დაცალბული საგდულის შივა ქალაპოტით.

თხემი კიდურია, ლიგამენტის კიდვზე ოდნავ ამოღებულ. წინა კუთხე — 120°, ღერძის კუთხე — 60°. სადგულები სუსტად განობერილია.

სკულპტურა შედგება კონცენტრული (ქედობებიანი) წიბოებისგან (*Anwachskammreifen*), რომლებიც წინა მხარეზეც და ლიგამენტის კიდესთანაც თხემთან იყრიან თავს, როგორც ეს საერთოდ *In. labiatus*-ის ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი. თხემის მეზობლად მათ თითქმის წრული მოყვანილობა აქვთ, მაგრამ შემდეგ თანდათან ისინი ღერძის გასწვრივ წაგრძელებულ ოვალს უახლოვდებიან. ერთი

ნიმუში (ზნაკვიდან) წარმოადგენს მხოლოდ ახალგაზრდა, წრული მოყვანილობის ფორმას.

მსგავსება-განსხვავებანი. იხ. *In. labiatus* Schloth.

გავრცელება. Böse-მ აღნიშნა ტურონულიდან. Seitz-ი მის გავრცელებას ზღუდავს *labiatus*-ის ზონით.

ჩვენი ნიმუშები აღებული არიან: ერთი სურამის ყოფ. საულელტეხილო რკინისგზის გასწვრივ *labiatus*-იანი შრეებიდან, რამდენიმე ნიმუში ჩხერიმელის ხეობაში (ზვარულა) აგრეთვე *labiatus*-იანი შრეებიდან, ერთი ლელვანის წყლიდან (ჩხერიმელა) ფოლადისფერი თხელშრეებრივი მერგელებიდან, და ერთი თრიალეთის ქედზე ხვედურეთის წყებიდან. დასასრულს, ზნაკვის ნიმუში (რაჭა) აღებულია ზედა ცარცის კირქვების ქვედა ნაწილის ნაყარში.

კოლექცია: აკად. ალ. ჯანელიძის, გამყრელიძის, ჩემი.

Mytiloides hercynicus Petrascheck

ტაბ. IX, სურ. 1.

- 1903 *Inoceramus hercynicus* Petrascheck, Über Inoceramen..., S. 156, Taf. VIII, Fig. 1-3, Textfig. 1.
- 1911 " *labiatus* var. *latus* Woods, Cret. Lam., pt. VII, p. 285 textf. 41.
- 1913 " " Böse, Algunas faunas..., p. 25, lam. II, fig. 4.
- 1923 " *hercynicus* Böse, Algunas faunas..., p. 181, lam. XII fig. 4-6.
- 1928 " *plicatus* var. *hercynica* Heinz, Inoc. Süd-Amerikas..., S. 65, Taf. IV, Fig. 5.

ეს სახე წარმოდგენილია ორმოცდა-ჩვიდმეტი ნიმუშით. ყველა ცალ-ცალი საგდულის შიგა კალაპოტია.

მარცხენა და მარჯვენა საგდულების შედარებით ვსაკენი, რომ ეს სახე თანაბარ საგდულიანია. თხემი კიდურია, პატარა და მოუკაუჭებელი. საგდულის ღერძი ჰქმნის დაახლოვებით 50°-ს ლიგამენტთან. ლიგამენტის ხაზი მოკლეა და პატარა გამოუყოფელ ფრთას ჰქმნის. წინა კუთხე ბლაგვია და დიდ ფორმებს თითქოს უფრო დიდი აქვთ, ვიდრე პატარებს. მკაფიოდ ჩანს ღერძის გასწვრივი წაგრძელება. ნიჟარა ძლიერ სუსტადაა გამობერილი, როგორც ეს Petrascheck-ის ორიგინალსაც ემჩნევა. თუმცა უნდა ითქვას, რომ თითქმის ბრტყელი ფორმა ნაწილობრივ დეფორმაციასაც მიეწერება, რადგან ჩემს ნიმუშებს მკაფიო ნაპრალებიც ემჩნევა.

სკულპტურა შედგება ზომიერი კონცენტრული ქედობებიანი წიპობისგან—*Anwachskammreifen*), რომლებსაც საერთოდ ასიმეტრიული, ტრაპეციოიდული მოყვანილობა აქვთ, მაგრამ ზოგჯერ თხემთან სიმეტრიული არიან.

მსგავსება—განსხვავებანი. *In. labiatus* Schloth. განსხვავდება უფრო პატარა წინა კუთხით, მეტი გამობერილობით, მეტი წაგრძელებით ღერძის გასწვრივ და უფრო ოვალური მოყვანილობის სკულპტურით.

Woods-ი ჩვენს სახეს აიგივებდა *In. latus* Sow-თან და უწოდებდა *In. labiatus* var. *latus* Sow-ს. მაგრამ ნამდვილი *I. latus* Sow. არაფრით არა ჰგავს *labiatus*-ის მონათესავე ფორმებს (იხ. *I. Stillei* Heinz). *I. labiatus* var. *latus* Sow. ნაწილობრივ აგრეთვე *M. opalensis* Böse-საც უდრის (იხ. *M. opalensis*).

In. amudariensis Arkh. განსხვავდება მხოლოდ არაკიდური თხემით და წინა ფრთის ჩანასახით. Seitz-ი (69) ამ სახეს აკავშირებს ჩვენს სახესთან, როგორც *I. labiatus* Schl. var. *hercynica* Petr. f. *amudariensis* Arkh. ჩვენი გაგებით ის ვარიეტეტი იქნება.

გავრცელება. Petrascheck-ის, Andert-ის (5) და Seitz-ის (69) მიხედვით, ეს სახე *labiatus*-იან შრეებში გვხვდება, Heinz-ის (35) მიხედვით კი—*Scaphites Geinitzi*-ს ზონაში.

ჩვენი ნიმუშები აღებული არიან ზვარულას და ლელვანის წყლის (ჩხერიმელის ხეობა) ფოლადისფერ, *labiatus*-იან მერგელებში; თრიალეთის ქედის (სოფ. იმერხევი, ზღუდერი და სხ.) ფოლადისფერ თხელშრეებრივ მერგელებში; სურამის ძველი საულელტეხილო რკინისგზის გასწვრივ *labiatus*-იან შრეებში; ნიკორწმინდის მიდამოების ზედაცარცის ქვედა შრეებში; სათანჯიოს ციხის *In. Lamarckii*-ანი შრეების ქვეშ, მერგელოვან კირქვებში; სალიეთის (ჭიათურასთან) ტრანსგრესული ზედა ცარცის ქვედა შრეებში და სხ.

კოლექცია: აკად. ალ. ჯანელიძის, გამყრელიძის, კაჭარავასი, კახაძის, ჩემი.

მეცნიერი VOLVICERAMUS Stoliczka 1871

ამ ქვეგვარის ტიპად Stoliczka-მ აღიღო *I. involutus* Sow., რომელსაც მარცხენა საგდული მოხვეული აქვს ნაუტილუსივით, ხოლო მარჯვენა სარქველადაა გადაქცეული. შემდეგში აღმოჩნდნენ მისი მოსოესავე სხვა ფორმებიც, (*I. Koeneni* G. Müll. *I. exogyroides* M. & H. *I. umbonatus* M. & H.).

Woods-მა (77) დაასურათა ერთი გარდამავალი ფორმა *I. Lamarcki*-სა და *I. involutus*-ს შორის და მას აქვთ *I. Lamarcki*-ისაც ამ ქვეგვარს აკუთვნებენ (Böhm, 14). ერთი ასეთი ფორმის მარჯვენა საგდული ჩემ ხელთაც არის. ამ ნიმუშის და *Volv. involutus*-ის შედარებამ დამარწმუნა, რომ მათ შორის მსგავსება მხოლოდ მოჩვენებითია: *involutus*-ის მარჯვენა საგდული (რომელიც ნაკლებ უნდა განიცდიდეს ცხოვრების პირობების გავლენას, ვიდრე მარცხენა, მიმაგრებული საგდული) სკულპტურითაც და საერთო ფორმითაც ძლიერ ჰგავს *In. inconstans*-ს და ამიტომ ვფიქრობ, რომ ქვეგვარი *Volvicramus* ამ უკანასკნელ ფორმასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

Volvicramus Koeneni G. Müller

ტაბ. X, სურ. 1.

1887 *Inoceramus Koeneni* G. Müller, Beitrag zur Kenntniss..., S. 412, Taf. XVII, Fig. 1.
 1926 " " Heinz, Beitr. z. Kenntn..., S. 100.
 1926 " " Pennington, Acca-Kambräcken, str. 50.
 1928 " " Heinz, Inoceramen-Profil, Taf. III.
 1928 " " Heinz, Über die Skulptur..., S. 37, Taf. III, Fig. 2.
 1929 " " Heine, Inoceramen..., S. 92, Taf. X, Fig. 47, 48; Taf. XV, Fig. 63; Taf. XVII, Fig. 66; Taf. XVIII, Fig. 67.
 1933 *Cymatoceramus cf. Koeneni* Heinz, Inoceramen v. Madagaskar..., S. 253, Taf. 19, Fig. 3.
 1934 *Inoceramus* " Andert, Kreideablagerungen..., S. 132, Taf. 8, Fig. 2; Abb. 16.
 non. 1911 " " Andert, Inoceramen..., S. 60, Taf. V, Fig. 3; Taf. VIII, Fig. 2.

სიმაღლე 120 mm
 სიგრძე 105 mm
 სისქე 75 mm

ამ სახეს ვაკუთვნებ ერთ ნიმუშს მდ. ჩხარულის კალაპოტიდან. ნიმუში წარმოადგენს მარცხენა საგდულს და დაფარულია პრიზმული შრით.

როგორც ზომებიდან ჩანს, საგდული ძლიერ გამოზებრილია. თხემი არაკიდურია, მასივი, გამოუყოფელი, მოკაუჭებული და წინ გადახრალი. საბმის კიდე მოკლეა, დანარჩენი კიდევები მორგავლებული.

საგდულის ნახევარზე მეტი (თხემიდან დაწყებული) დაფარულია მკაფიოდ განვითარებული ზრდის ტალღებით (*Anwachswellen*), რომლებიც წესიერი ინტერვალებით არიან ერთმანეთს დაშორებული და რიცხვით 6—7-მდე არიან (თხემი კარგად არაა დაცული და სკულპტურა არ ემჩნევა). საგდულის გარეთა ნაწილი უბრალო ზრდის ხაზებითაა დაფარული და გლუვია.

პრიზმული შრე საკმაოდ მძლავრია და განსაკუთრებით სქელდება კიდევებისკენ და საბმის არეში.

მსგავსება - განსხვავებანი. ეს სახე ძლიერ ახლო დგას *In. involutus*-თან, რომლისგანაც ვაირჩევა საგდულებს შორის ნაკლები განსხვავებით და მარცხენა საგდულზე წესიერად დაშორებული ზრდის ტალღების არსებობით.

მარცხენა საგდულზე ზრდითი ტალღების არსებობას არც ერთი ავტორი არ აღნიშნავს. მაგრამ G. Müller-ის მიერ მოცემულ სურათზე მარცხენა საგდულს თხემის მეზობლად ემჩნევა საკმაოდ ძლიერი და დაშორებული ნაოჭები, რომლებიც ზრდითი ტალღებს გვანან.

გავრცელება. გერმანელი ავტორები ემშერში გამოჰყოფენ ცალკე *Koeneni*-ს ზონას, რომელიც ქვევიდან პირველია, ე. ი. *involutus*-ის ზონის ქვეშ არის, საფრანგეთში—კი *Koeneni*-ს ზონა არ ვაირჩევა და იქ კონიაკურს პირდაპირ *involutus*-ის ზონით იწყებენ.

ჩვენი ნიმუში აღებულია მდ. ჩხარულაზე, ზედა ცარცის თხელ-შრეებრივი კაჟიანი კირქვების ქვედა ნაწილში და იქ მისი მდებარეობა, სხვა ინოცერამებით შემოწმებული, არ ეწინააღმდეგება ევროპულს (კონიაკურს).

კოლექცია: ჩხელიძის.

Volvicramus involutus Sowerby

1843 *Inoceramus involutus* d'Orbigny, Pal. Franç., III, p. 520, pl. 413.
 " " Lamarcki d'Orbigny, ibid., p. 518, pl. 412.
 1887 " " G. Müller, Beitrag zur Kenntniss..., S. 411, Taf. XVI, Fig. 1.
 1910 " " J. Böhm, Zur Verbreitung d. I. involutus.
 1912 " " Woods, Cret. Lam., pt. VIII, p. 327, textfig. 88—94.

ეს სახე წარმოადგენილია სამი ნიმუშით: ერთი ჩხერიმელის ხეობიდანაა, ორი აფხაზეთიდან (გუმისტა და ბზიბი). ჩხერიმელის ხეობის ნიმუშს ორივე საგდული აქვს, გუმისტის ნიმუში მხოლოდ მარცხენა საგდულს წარმოადგენს და თხემი აკლია, ხოლო ბზიბისა—მარ-

ჯვენას და ლიგამენტის სიბრტყე აკლია. პრიზმული შრე მეტად თუ ნაკლებად ყველა ნიმუშს აქვს შერჩენილი.

ნიჟარა ძლიერ უთანაბრო საგდულებიანია. მარცხენა საგდული გაცილებით უფრო დიდია მარჯვენაზე: ის ძლიერ გამოზებრილია და ნაუტილუსივით მოხვეული, თხემი ძლიერ მოკაუჭებულია და წინისკენ გადახრილი.

ბოჭკოვანი შრე საერთოდ სქელია და ნაპირებისკენ განსაკუთრებით სქელდება.

სკულპტურა ძლიერ სუსტია: მხოლოდ თხემთან ჩანს რამდენიმე უფრო ძლიერი ზრდითი ტალღობი (Anwachsrünzeln); დანარჩენი ზედაპირი დაფარულია ძლიერ სუსტი ტალღობებით და ზრდითი ხაზებით.

მარჯვენა საგდული გაცილებით უფრო პატარაა, ოვალური მოყვანილობის. თხემი თითქმის კიდურია, სწორი და პატარა. ლიგამენტის ხაზი გრძელია და უკანა ნაპირთან ოდნავ მოღუნული; საგდულისგან გამოყოფილია ჩაღრმავებით. საგდულის გარე ნაწილი კუთხეს ჰქმნის შუა ნაწილთან, როგორც *I. inconstans* Woods-ში. საგდულის სიგრძე სჭარბობს სიმაღლეს. მისი სკულპტურა შედგება ზრდის ტალღებისგან (Anwachswellen), რომელთა უდიდესი სიმრუდეების ღერძი ლიგამენტთან მახვილ კუთხეს ჰქმნის. Woods-ი და Böhni-ი აღნიშნავენ აგრეთვე რადიალურ წიბაკებსაც (Radialrippeln), მაგრამ ჩემ ნიმუშებს ისინი არ ემჩნევა.

მსგავსება - განსხვავებანი. ამ სახესთან ძალიან ახლოს არიან *V. umbonatus* M. & H., *V. exogyroides* M. & H. და *V. Koeneni* G. Müll. პირველი მათგანი სულ ოდნავ განსხვავდება ჩვენი სახისგან (უფრო დაბალი მარცხენა საგდულით, რომელსაც ნაკლებ წრიული აპერტური აქვს) და ალბად Meek-მა იმიტომ განიხილა ის ცალკე სახედ, რომ ქვედა ცარცული ეგონა (Fort Benton Group). დღეს Fort Benton Group-ს ემშერად სთვლიან. Woods-იც ამბობს, რომ შეიძლება ეს სახე *V. involutus*-ის სინონიმს წარმოადგენდესო. *V. exogyroides* M. & H. განსხვავდება უფრო მეტი სიგრძით და უფრო წინისკენ წახრილი მარცხენა თხემით. *V. Koeneni* G. Müll. განსხვავდება უფრო გამოზებრილი მარჯვენა საგდულით.

Woods-ის დასურათებული ნიმუშებიდან ვერც ერთი ვერ აღწევს ჩემი ნიმუშების ზომას. მაგრამ ვემყარები რა Woods-ის შენიშვნას, რომ *V. involutus*-მა შეიძლება ზოგჯერ დიდ ზომას მიღწიოსო, ჩემს ნიმუშებსაც ამ სახეს ვაკუთვნებ, რადგან სხვათნაირი განსხვავებები არაფერია.

გავრცელება. Woods-ის მიხედვით გვხვდება *Micr. costudinarium*-ის ზონაში (=კონიაკურს). Heinz-ის მიხედვით Lüneburg-თან დამახასიათებელია ემშერის მეორე (ქვევიდან) ზონისათვის, რომელსაც *Involutus*-ის ზონა ეწოდება.

ჩვენი ნიმუშები ყველა აღებულია ვარდისფერი კირქვებიდან, რომლებსაც სტრატეგრაფიული მოსაზრებებით ტურონულს აკუთვნებდნენ მთელ დასავლეთ საქართველოში. ამ ინოცერამის არსებობა აღნიშნული კირქვების ზედა საზღვარს ზევით სწევს.

კოლექცია: რუხადის, ჩხოტუასი, კუროჩკინის.

Volviceramus Wandereri Andert.

ტაბ. VI, სურ 1,2.

1911 *Inoceramus Wandereri* Andert, *Inoceramen a. d. Kreibitz—Zittauer...* S. 60; Taf. V, Fig. 1; Taf. VIII, Fig. 1.
 cf. Koeneni Andert, *ibid.* S. 60, Taf. V, Fig. 3; Taf. VIII, 2.
 1934 *Wandereri* Andert, *Kreideablagerungen...*, S. 130, Abb. 15.

ეს სახე წარმოდგენილია დაცალეხული მარჯვენა და მარცხენა საგდულით, რომლებიც აღებული არიან სოფ. ბაზალეთთან (ხარაგაულის მეზობლად), ერთსა და იგივე შრეში. ორივეს პრიზმული შრე ნაწილობრივ შერჩენილი აქვს, მაგრამ სამაგიეროდ კიდევები ჩამოტეხილი აქვთ და ზომები მთლად ზუსტი არ არის.

	მარჯვენა	მარცხენა
სიგრძე	68 mm	70 mm
სიმაღლე	74 mm	88 mm
სისქე	33 mm	39 mm

მარცხენა საგდული მაღალია, და თხემიც მაღალი აქვს, მკაფიოდ გამოყოფილი, წინ გადახრილი და კიდური. თხემის წვეტი მოტეხილია და მოკაუჭება არ ჩანს. წინა მხარე თხემის ძირში შეზნეჭილია. საგდული მორგვალეზულად გამოზებრილია და მისი ღერძის კუთხე დაახლოვებით 80° უდრის. კიდები მორგვალეზულად გადადიან ერთმანეთში. წინა კუთხე ცოტა აღემატება 90°, საგდულის საერთო ფორმა მსხლისებურია.

თხემიდან საგდულის ღერძის 2/3-მდე სკულპტურა შედგება საკმაოდ მძლავრი ზრდის ტალღებისგან (Anwachswellen) გარეთა-ქისამედზე კი ზრდითი ტალღები უეცრად სუსტდებიან და თავის

მკაფიო ხასიათს ჰქარავენ, რადგან აქ უბრალო ზრდითი ხაზებიც (Anwachslinien) ჩნდება.

მარჯვენა საგდული უფრო დაბალია და წრიულს უფრო უახლოვდება ვიდრე მსხლისებურს. თხემი უფრო წინ აქვს გადახრილი. წინა კუთხე ბლაგვია, ღერძის კუთხე დაახლოვებით 60°—70° უდრის. მისი სკულპტურაც ისეთივეა, როგორც მარცხენასი, მხოლოდ მკაფიო ზრდის ტალღები აქ საგდულის უფრო მეტ ნაწილზეა განვითარებული, ვიდრე მარცხენა საგდულზე.

მსგავსება - განსხვავებანი. Andert-ი აღნიშნავს ამ სახის მსგავსებას *In. Koeneni* G. Müll.-სადმი. ჩემი მხრივ შემოიძლია დავუმატო, რომ ჩემ ხელთ არსებული *In. involutus*-ის ნიმუშის შესაფერი საგდულების ახალგაზრდობის (თხემის მეზობელ) ნაწილებსა და *In. Wandereri*-ს საგდულებს შორისაც დიდი მსგავსება არის. მხოლოდ *In. involutus*-ის მარცხენა საგდულს ზრდის ტალღების ნაცვლად ზრდის ტალღობები (Anwachsfunzeln) აქვს, რომლებიც შემდეგში მალე ესპობა. აღნიშნული სახეებისგან *In. Wandereri* გაირჩევა მით, რომ მისი საგდულები ერთმანეთისგან ნაკლებ განსხვავდებიან და ეს განსხვავება მხოლოდ ფორმას ეხება და არა სკულპტურას.

გავრცელება. Andert-ის მიხედვით ემშერში გვხვდება (=კონიაკურს). ჩემი ნიმუშები აღებული არიან, ე. წ. „ტურონის“ მოგარდისფრო კირქვების ზედა ნაწილში *In. involutus* Sow-ს მეზობლად.

Volviceramus cf. undabundus Meek & Hayden.

ტაბ. VII, სურ 2.

1876 *Inoceramus undabundus* Meek. A. report.,, p. 60, pl. 3, fig. 2.
 1929 „ „ Heine, Die Inoceramen..., S. 100, Taf. XI, Fig. 50, 51, Taf. XII, Fig. 55, Taf. XIII, Fig. 57, Taf. XIX, Fig. 70, 71.

ეს სახე წარმოდგენილია ერთი ნიმუშით, რომელიც დიდი ზომისაა და წარმოადგენს მარცხენა საგდულის შიგა კალაპოტს. ბოჭკოვანი შრისგან გადარჩენილია ლიგამენტის სიბრტყის ნაწილი, რომელიც მოკაუჭებული თხემის შიგნით არის მოქცეული.

თხემი დიდია, არაკიდური, სუსტად გამოყოფილი, ძლიერ მოკაუჭებული და წინისკენ გადახრილი. საგდული ძლიერ გამობერილია და მორგვალბული. ლიგამენტის ხაზი მოკლეა. საგდულის სიგრძე ოდნავ სჭარბობს სიმაღლეს. წინა მხარე მოკლეა და მალე გადადის ქვედა მხარეში. ქვედა კიდე მორგვალბულია. უკანა კიდე ცოტა

უფრო გამოწეულია, ვიდრე Meek-ის ნიმუშს აქვს. საერთო მოყვანილობა რომბულს უახლოვდება.

სკულპტურა შედგება დაშორებული და სუსტი კონცენტრული წიბოებისგან, რომლებიც უკან ისე ძლიერ არ არიან მოღუნული, როგორც ეს Meek-ის მოცემულ სურათზე ჩანს. ასეთ განსხვავებას შე მივაწერ ჩემი ნიმუშის დიდ ზომას.

ამ სახის მარჯვენა საგდულს უფრო მკვეთრი ნაკლები აქვს, ნაკლებად გამობერილია და თხემი უფრო პატარა და მოუკაუჭებელი აქვს. ამიტომ Heine-მ ის სამართლიანად მიაკუთვნა *V. involutus*-ის ჯგუფს. ამ ჯგუფის სხვა წარმომადგენლებისგან ადვილად გაირჩევა საგდულებს შორის ნაკლები განსხვავებით და საერთო ფორმით.

გავრცელება. ორიგინალი არის Fort Benton Group-იდან, ხოლო ევროპაში ემშერში გვხვდება.

ჩემი ნიმუში აღებულია კვახჭირის რაიონში, ზედაცარცის ოდნავ ქვიშიან კირქვაში ვულკანოგენი წყების თავზე.

კოლექცია: აკად. ალ. ჯანელიძის.

ჰეხეზარი ENDOCOSTEA Whitfield 1880

საერთო ნიშნებით სავსებით მსგავსია ქვეგვარ *Inoceramus s. str.*-სი. განსხვავდება მისგან მხოლოდ იმით, რომ ნიჟარის შიგა ზედაპირზე აქვს დიაგონალური წიბო, რომელიც შიგა კალაპოტზე სტოკებს ღარს.

ქვეგვარის ტიპად აღებულია *E. typica* Whitfield.

ქვეგვარი *Endocostea* დამახასიათებელია მხოლოდ სენონისათვის (*Bel. mucronata*-ს ზონამდე).

Endocostea typica Whitfield

ტაბ. V, სურ. 5.

1913 *Endocostea typica* Böse, *Algunes faunas...*, p. 35, lam. III, fig. I.
 1936 „ „ Beyenburg, *Die Fauna der Halterner...*, S. 295.

ეს სახე წარმოდგენილია ორი ნიმუშით: ორივე მარცხენა საგდულის კალაპოტს წარმოადგენს.

სიგრძე 40 mm

სიმაღლე 35 mm

თხემი კიდურია, მაღალი, მოკაუჭება არა ჩანს: საბმის ხაზი ჩრდილია. წინა კუთხე სწორია და წინა მხარე შეუმჩნევლად გადადის ქვედაში. უკანა კუთხე ბლაგვია.

10. საქართველოს ცარცული ინოცერამები.

სკულპტურა შედგება წვრილი კონცენტრული წიბოებისგან, რომლებიც თხემის ახლოს ხშირი არიან, გარეთ-კი შორდებიან ერთმანეთს. დიაგონალური ღარი საბმის ხაზთან ჰქმნის 30°-40°-ს და იწყება თხემიდანვე. საგდულის კიდემდის ვერ აღწევს.

მსგავსება-განსხვავებანი. *E. impressa* d. Orb. განსხვავდება მეტი სიგრძით და ნაკლებ მკვეთრი წიბოებით. *E. sulcata* Roem. განსხვავდება უფრო გამოხედილი ფორმით. ბლაგვი წინა კუთხით და პატარა თხემით.

გავრცელება. ევროპაში და ამერიკაში სენონურია, *Bel. mucronata*-ს ზონამდე. ჩვენი ნიმუშებიდან ერთი აღებულია ალგეთის ხეობაში, ლითოგრაფიული წყების ზედა ნაწილში, მეორე ხარაგოულთან, საკირეს დელის კამპანურში.

კოლექცია: გამყრელიძის, ედილაშვილის.

Endocostea sulcata Roemer

ტაბ. I, სურ. 7.

1870 *Inoceramus Crippsi* var. *sulcata* Roemer, Geologie von Oberschlesien, Atlas, Taf. 39, Fig. 9.

ამ სახეს ვაკუთვნებ სამ პატარა ნიმუშს ჩხერიმელის ხეობიდან. რომლებიც შიგა კალაპოტებს წარმოადგენენ. ერთ ნიმუშს ორივე საგდული აქვს, მაგრამ დაცალებული, და მარჯვენა საგდული დეფორმებულია. ამიტომ საგდულების შედარება არ ხერხდება.

	A	B	C
სიგრძე	40 mm	45 mm	49 mm
სიმაღლე	22 mm	29 mm	30 mm

თხემი პატარაა და კიდური. საერთო მოხაზულობა ჰგავს *I. balticus* Böhm-ს. სკულპტურა შედგება წვრილი, წესიერი კონცენტრული წიბოებისგან (*Anwachsreifen*). საგდულებს ემჩნევათ ნივარის გარდატეხა და გვიან ნაწილებზე სკულპტურა ჰქრება.

დიაგონალური ღარი მოკლეა და ვერც თხემს აღწევს, ვერც საგდულის კიდეს.

მსგავსება-განსხვავებანი. *E. impressa* d'Orb.-საგან განსხვავდება უფრო პატარა თხემით და მოკლე ღარით (იხ. d'Orbigny, 55, pl. 409).

იხ. აგრეთვე *E. typica* Whitf.

გავრცელება. ევროპაში ისეთივე, როგორც *E. typica* Whitf-ის.

ჩვენი ნიმუშები აღებულია ხარაგოულის მიდამოების სენონური კირქვიდან, *I. balticus* Böhm თან ერთად.

კოლექცია: გამყრელიძის, ჩემი.

Endocostea inflexa Beyenburg.

ტაბ. IV, სურ. 3.

1937 *Endocostea inflexa*. Beyenburg., Die Fauna der Haltärner., S. 295, Taf. 11, Fig. 1-3; Taf. 12, Fig. 1, 3.

ამ სახეს ვაკუთვნებ ორ ნიმუშს ხარაგოულის მიდამოებიდან: ერთი მარჯვენა საგდულის შიგა კალაპოტია, მეორე—მარცხენასი. პირველს წინა მხარე ცოტა მოტეხილი აქვს.

	A	B
სიგრძე	51 mm	55 mm
სიმაღლე	41 mm	44 mm

თხემი კიდურია, ცოტა ამალღებული ლიგამენტის ხაზზე. წინა კუთხე ბლაგვია და საერთო მოხაზულობა რამდენადმე მიაგავს *I. balticus*-ისას.

ღარი მოკლეა, იწყება საგდულის შუაში და აღწევს თითქმის კიდემდის. ამასთან მას სოლისებური ფორმა აქვს და კიდისკენ ფართოვდება.

სკულპტურა შედგება საკმაოდ მძლავრი წიბოებისგან (*Anwachsreifen*).

მსგავსება-განსხვავებანი. *E. sulcata* Roem.-სგან განსხვავდება ნაკლები სიგრძით, უფრო მაღალი თხემით და ღარის მდებარეობით. საერთოდ ამ უკანასკნელი ნიშნით ეს სახე ადვილად გაირჩევა სხვა *Endocostea*-ებისგანაც.

გავრცელება. Beyenburg-ის ნიმუშები ვესტფალიის ქვედა სენონურიდან არიან. ჩემი ნიმუშები ისეთივე პირობებში გვხვდებიან, როგორც *E. sulcata* Roem.

კოლექცია: გამყრელიძის.

Endocostea imerica n. sp.

ტაბ. II, სურ. 5.

ეს სახე წარმოდგენილია მარცხენა საგდულის ერთი შიგა კალაპოტით.

სიგრძე 45 mm, სიმაღლე 25 mm, სისქე 10 mm.

თხემი კიდურია, ძალიან პატარა და შეუმჩნეველი. საბმის კიდე თითქმის საგდულის სიგრძისაა. წინა კუთხე სწორზე პატარაა და წინა კიდე არ გამოიყოფა ქვედასგან. ამიტომ ეს ორი კიდე ერთ

სუსტად მოღუნულ მრუდს ჰქმნიან. უკანა კიდე უფრო მორგვალე-
ბულია და უკანა კუთხე ბლაგვი. წინა მხარე შედარებით გამოზერი-
ლია, ხოლო უკანა და ზედა მხარეები ბრტყელი.

სკულპტურა შედგება წვრილი კონცენტრული წიბოებისგან,
რომლებიც უკანა ნაწილისკენ სუსტდებიან; ირიბი ღარი საბმის კი-
დესთან ჰქმნის დაახლოებით 30° კუთხეს, რომლის წვერი თხემის
უშუალოდ უკან ხედება. ღარს სოლისებური მოყვანილობა აქვს და
მოთავსებულია საგდულის შუა ნაწილში, როგორც *E. sulcata*
Roem-ში.

მსგავსება - განსხვავებანი. ენდოკოსტებიდან ყველა-
ზე ახლოს დგას ამ სახესთან *E. typica* Whitt., რომელსაც სხვებზე
პატარა წინა კუთხე აქვს. მაგრამ ჩვენი სახე მისგან განსხვავდება
მახვილი წინა კუთხით, პატარა თხემით, მეტი სიგრძით და არაცხადი
წინა კიდით, რომელიც მას სოლისებურ მოყვანილობას აძლევს.
განსხვავება ეხება აგრეთვე ღარის მდებარეობასაც, რომელიც
E. typica-ს თხემთან ეწყება. სხვა ენდოკოსტები მკაფიოდ გაირჩე-
ვიან ამ სახისგან ბლაგვი წინა კუთხით.

გავრცელება. ღორეშა (ხარაგოულის რაიონი), სენონური
კირქებიდან *I. balticus*-თან ერთად.

კოლექცია: გამყრელიძის.

მეზოზოური HAENLEINIA Böhm 1909

ამ ქვეგვარისთვის დამახასიათებელია უკანა კიდის ფორმა:
ქვედა ნაწილში ის მარცხნივ არის გაღუნული და ამის შესაბამისად
მარცხენა საგდულს უნაგირა აქვს, ხოლო მარჯვენას — უბე (იხ. J.
Böhm, 10).

ამ ქვეგვარის ტიპია *H. flexuosa* Haenl. sp.

Haenleinia-ს გავრცელებაც ისეთივეა, როგორც Endocostea-ს.

Haenleinia cf. flexuosa Haenlein

1909 Haenleinia flexuosa Böhm, I. Crippsi Auct., S. 54, Taf. 13, Fig. 1, 3;
Taf. 14, Fig. 1.

1916 " " Beyenburg, Die fauna..., S. 298, Taf. 13, Fig. 1, 2

ამ სახეს ვაკუთვნებ სამ პატარა ზომის ნიმუშს ჩხერიმელის
ხეობიდან. ორი მათგანი წარმოადგენს მარცხენა საგდულის შიგა-
კალაპოტს, ერთი მარჯვენისას.

	A	B	C
სიგრძე	34 mm	34 mm	35 mm
სიმაღლე	20 mm	21 mm	22 mm

თხემი კიდურია, ლიგამენტის ხაზი გრძელია. წინა კუთხე 90°.
წინა მხარე ძალიან მოკლეა და გადადის ქვედა მხარეში. საგდულები
ხომიერად გამოზერილია.

სკულპტურა შედგება წვრილი და შედარებით ხშირი წიბოე-
ბისგან (Anwachsreifen), რომლებიც გარეთ თანდათან სუსტდებიან.
ვინაიდან უკანა კიდე კარგად არც ერთ ნიმუშს არ აქვს და-
ცული, ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია.

გავრცელება. ევროპაში ქვედა სენონი. ჩვენი ნიმუშები
ხარაგოულის მიდამოებიდან არიან და იმავე პირობებში გვხვდე-
ბიან, როგორც *E. sulcata* და *E. inflexa*.

კოლექცია: გამყრელიძის.

მეზოზოური TAENIOCERAMUS Heinz 1933 emend.

ამ ქვეგვარს ვაკუთვნებ *concentricus-tenuis-pictus*-ის მონათესავე
ფორმებს. მათთვის დამახასიათებელია მაღალი მოყვანილობის საგ-
დულები, რომელთა ღერძის კუთხე $\leq 90^\circ$, ხოლო წინა კუთხე
 $\geq 90^\circ$. საბმის სიბრტყე მოკლეა და ფრთას არ ჰქმნის (იხ.
სურ. 1 D). ხშირად მარცხენა საგდული უფრო დიდია მარჯვენაზე.
სკულპტურა სუსტია.

Heinz-ი (43) ზოგ ფორმებს, რომლებიც ჩვენ ამ ქვეგვარში
შეგვყავს, სხვა გვარებს აკუთვნებს (მაგ. *Cricoceramus pictus* Sow.),
რაც საეჭვო არის, რადგან ყველა ეს ფორმები (თუნდაც იგივე *tenuis*
და *pictus*) ხშირად ძნელი გასარჩევი არიან ერთმანეთისგან. გარდა ამისა
მათი ასაკიც გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს მხოლოდ ერთ ქვე-
გვართან: ისინი გვხვდებიან უწყვეტლივ ნეოკომურიდან-სენონმანუ-
რამდე.

ქვეგვარის ტიპად შეიძლება *In. tenuis* Mant. ავიღოთ.

Taenioceramus anglicus Woods

1911 Inoceramus anglicus Woods, Cret. Lam., pt. VII, p. 264, textfig. 29;
pl. 45, fig. 8-10.

1915 " " Сипцов, Заметки о двух видах..., стр. 253,
таб. 11, рис. 4, 5.

ეს სახე წარმოდგენილია ორი ნატეხი ნიმუშით სოფ. თლულის
სიღამოების აბტურიდან (აბტური მერგელების ზედა ნაწილი). ერ-
თი მათგანი საკმაოდ არის დაცული და აღწერას მის მიხედვით ვა-
წარმოებ. მას მოტეხილი აქვს თხემი და უკანა კიდის ქვედა ნაწი-

ლი. ეს ნიმუში მარცხენა საგდულის შიგა კალაპოტს წარმოადგენს. მეორე ნიმუში მარჯვენა საგდულის ზედა ნაწილია და თხემი შერჩენილი აქვს.

სიმაღლე—35 mm
სიგრძე —28 mm

ლიგამენტის ხაზი სწორია, მისი მთელი სიგრძე მეორე ნიმუშზე ჩანს. თხემი კიდურია, წინისკენ და შიგნით მოკაუჭებული, წვეტიანი, პატარა. წინა კუთხე სწორზე მეტია. უკანა კუთხეც ბლაგვია. საგდულები ზომიერად არის გამობერილი. წინა მხარე უფრო გაბერილია, ვიდრე უკანა და უკან არის ფრთისებური ბრტყელი არე.

სკულპტურა შედგება წვრილი, მკაფიო, თითქმის სიმეტრიული და დაშორებული ზრდითი ქედობებისგან (*Anwachskämme*), რომლებიც ფრთისებურ ნაწილზე სუსტდებიან.

მსგავსება-განსხვავებანი. იხ. *I. neocomiensis* d'Orb. *In. concentricus* Park. განსხვავდება უთანაბრო საგდულებით. მისი მარჯვენა საგდული ძნელი გასარჩევია ამ სახისგან. Woods-ის pl. 47, Fig. 8 (*I. concentricus*-ის მარჯვენა საგდული) თავისი მკაფიოდ გამოხატული უკანა კუთხით ამ სახეს უფრო ემსგავსება.

გავრცელება. Woods-ის მიხედვით გოლტში გვხვდება და გადადის აგრეთვე Upper greensand-ში.

